პროლეტარეებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

KOMUNISTI — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

6 ივნისი ხუთშაბათი 1968

ფასი 2 კაპ.

გამოცემის 49-ე წელი • № 130 (14126)

გარდამავალი დროშა — საქართველოს კოოპერატორებს

ხუთნლეულის — ვალდებულებანი

საქართველოს სამომხმარებლო კოოპერაცია ცნეს სრულიად საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულად პირველ კვარტალში კაპიტალური მშენებლობის საუკეთესო ორგანიზაციისათვის. ცეკავშირს მიენიჭა ცენტროსოიუზისა და სახელმწიფო გაჭრობისა და სამომხმარებლო კოოპერაციის მუშაკთა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა და პირველი ფულადი პრემია.

საქართველოს სამომხმარებლო კოოპერაციის ორგანიზაციებმა პირველ კვარტალში დიდი გადაჭარბებით შეასრულეს სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა გეგმები. ახალი მაღაზიების მშენებლობის დავალება შესრულებულია 110 პროცენტით, ძირითადი ფონდების ამოქმედების გეგმა — 113,7 პროცენტით. (საქდესი).

ენერგეტიკოსთა მიღწევა

თერჯოლა. (საკ. კორ.). გამართულად და რენტაბელურად მუშაობს ტყიბულჩინის კოლექტივი, რომელმაც გადაჭარბებით შეასრულა ხუთი თვის დავალება. ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობამ გეგმის გადამეტებით მიიღო 97.000 მანეთის ელექტროენერგია.

ყველა მაჩვენებლით

ჟუთაისი. (საკ. კორ.). № 8 სამკერვალო ფაბრიკის კოლექტივმა ყველა ტექნიკურ-ეკონომიური მაჩვენებლით გადააჭარბა ხუთი თვის დავალებას. აქ გეგმის გადამეტებით გამოუშვეს 858 ათასი მანეთიანი პროდუქცია და 2 მილიონ 291 ათასი მანეთის ნაცვლად 2 მილიონ 570 ათასი მანეთის ნაწარმის რეალიზაცია მოახდინეს.

მკერავებმა 99 პროცენტამდე აიყვანეს პირველი ხარისხის ტანსაცმლის გამოშვება, რითაც გეგმით გათვალისწინებულს 0,6 პროცენტით გადააჭარბეს. ამასთან განვლილ პერიოდში თვითღირებულების შემცირებით 85 ათასი მანეთი დაზოგეს და 67 ათასი მანეთი ზეგეგმითი მოგება მიიღეს.

შრომითს ვახტზე საუკეთესო შედეგებს აღწევენ № 1 და № 2 სამკერვალო საამქროების კოლექტივები, რომლებსაც ლ. ჯანაშია და დ. თუთბერიძე უძღვებიან.

PRAVDA

5 ივნისის მოწინავე

პრესის აქტივისტები

ბსინი ასეულათასობით და მილიონობით არიან—აქტივისტები, რომლებიც სავსებით უშუალო მონაწილეობას იღებენ ჩვენი გაზეთებისა და ჟურნალების გამოცემაში. საბჭოთა პრესა შეუძლებელია წარმოვიდგინოთ ისე, რომ მას არა პყავდეს მუშა და სოფლის კორესპონდენტები: ისინი გამოჩნდნენ მისი შექმნისთანავე, მათი ენერგიული, კეთილშობილური, თავდადებული საქმიანობით აღინიშნა სოციალისტური პრესის ქმნადობისა და ზრდის ყველა ეტაპი.

„ორი ცენტრალური შემოქმედი და თანამშრომელი ყავდა „ზვეზდასა“ და „პრავდასს“: ვლადიმერ ილიას-ძე ლენინი და მუშკორი, მუშა კორესპონდენტი. „პრავდა“, არსებითად, მათი შექმნილი იყო“. ასე წერდა პირველი მუშათა გაზეთების მთავარ თავისებურებაზე ბოლშევიკური ჟურნალისტიკის ვეტერანი ა. კერემეევი. თავისი პიონერებისაგან ყოველდღე საუკეთესო მიიღო მემკვიდრეობად და განავითარა მთელმა საბჭოთა პრესამ. მას ახასიათებს ლენინური „პარტიულ“ პრინციპულობის, სინამდვილის ღრმა ანალიზის შეხამება საზოგადოებრივ კორესპონდენტთა მასის ყოველდღიურ მონაწილეობასთან, მშრომელთა წერილების სიმრავლესთან. მუშა და სოფლის კორესპონდენტების მეხუთით შუაგულ ცხოვრებიდან მოდის გაზეთებსა და ჟურნალებში ახალი ფაქტები, დაკვირვებანი, შეშფოთებანი და წინადადებანი, ისმება კომუნისტური მშენებლობის დროს წამოჭრილი ახალი პრობლემები.

მუშსოფლკორთა მოძრაობა სოციალისტური დემოკრატიის ერთ-ერთი გამოვლინებაა, მასში გამოცატულია საბჭოთა პრესის თვით არსი, მისი ნამდვილად ხალხური ხასიათი. ათეული წლების მანძილზე ამ მოძრაობამ უდიდესი გაზა განვლო. ოციან წლებში მუშათა და გლეხთა შორის, რომლებიც „პრავდაში“ გამოდიოდნენ, ჭარბობდნენ ნახევრადწიგნიერი ადამიანები. ჩვენი დროის მუშკორები და სოფლკორები კარგად განათლებული არიან, ბევრს მათგანი შეიარაღებულია ღრმა პოლიტიკური და ეკონომიური ცოდნით, მათ უნარი შესწევთ არა მარტო აღნიშნონ საყურადღებო ფაქტები, არამედ კიდეკაც განაზოგადონ, ანალიზი გაუკეთონ მათ. განსხვავება უდიდესია, და ზოგჯერ გაისმის ხმები, ღირს თუ არა ზრუნვა მუშა და სოფლის კორესპონდენტთა მასობრივი მოძრაობისათვის, როცა ჩვენი ქვეყნის ყველა ადამიანი წიგნიერია და ყოველი პაოგანს შეუძლია გაზეთში წეროსო. ეს მცდარი აზრია. პირიქით, სწორედ ჩვენს დროში, როცა გაზეთებსა და ჟურნალების აქტივისტთა შორის ბევრია მუშა და კოლმეურნე, მასწავლებელი და ექიმი, აგრონომი და ინჟინერი, მეცნიერი და მხატვარი, კიდევ უფრო მაღლდება მუშსოფლკორთა მასობრივი, კარგად ორგანიზებული მოძრაობის როლი.

XXIII ყრილობის გადაწყვეტილებანი, პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმების დადგენილებანი მუშა და სოფლის კორესპონდენტებს შთაგნებულ დიდი საქმეებისათვის. აქტიურად მონაწილეობენ რა პრესის, რადიოსა და ტელევიზიის ყველა წამოწყებაში, ისინი ხელს უწყობენ ხუთწლიდის დავალებათა წარმატებით შესრულებას, სამეურნეო რეფორმის დანერგვას, ბრძოლას სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობისათვის, ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საყოველთაო-სახალხო სოციალისტური შეჯიბრების გაფართოებას.

ამას წინათ მთელ რიგ რესპუბლიკებში, მხარეებსა და ოლქებში გაიმართა მუშსოფლკორთა მორიგი ყრილობები. ამ ყრილობებმა ცხადყო, რომ პრესის აქტივისტთა რიგები გაიზარდა და განმტკიცდა, მათ ახლა ძალუძთ გადაწყვიტონ ახალი, კიდევ უფრო რთული ამოცანები. მაგალითად, ბაშკირეთში გამართულ ყრილობაზე აღინიშნა, რომ გაზეთების გამოშვებაში აქ უშუალოდ მონაწილეობს 24 ათასი მუშა და სოფლის კორესპონდენტი. მარტო ერთ წელიწადში რესპუბლიკის გაზეთებმა მიიღეს მშრომელთა 176 ათასი წერილი, რომელთაგან დაბეჭდეს 110 ათასი. ჟურნალისტთა და მუშსოფლკორთა შემოქმედებითი თანამეგობრობის. მეოხებით ბაშკირეთის ცხოვრებას მრავალფეროვნად ასახავს რესპუბლიკის პრესა, გაზეთები ცოცალი ფერადებით ხატავენ ქალაქისა და სოფლის შრომითს დღეებს, ღრმად ამუშავებენ ეკონომიური და კულტურული მშენებლობის პრობლემებს, გაბედულად ილაშქრებენ ნაკლოვანებათა წინააღმდეგ.

სსრ კავშირის ჟურნალისტთა კავშირმა მ. ი. ულიანოვას სახელობის პრემიები დაუწესა საქალაქო, რაიონულ და მრავალტირაჟიან გაზეთებს მასობრივი მუშაობის უკეთ დაყენებისათვის. ამას წინათ ეს პრემიები მიენიჭათ პრესის ორგანოებს, რომლებმაც შეძლეს მჭიდრო თანამშრომლობა დაემყარებინათ მუშკორებთან და სოფლკორებთან, კარგად მოეწყოთ შტატგარეშე განყოფილებათა საქმიანობა. კერძოდ, საგულისხმოა ლისკის რაიონული გაზეთის „ლენინსკოე ზნამიას“ (ვორონეჟის ოლქი) გამოცდილება. სამ წელიწადში მან თითქმის ერთიორად გაადიდა თავისი ტირაჟი, რედაქციამ ბევრი ნიჭიერი მუშა და სოფლის კორესპონდენტი აღზარდა.

ამასთანავე ჩვენში ჯერ კიდევ ბევრია მრავალტირაჟიანი და რაიონული გაზეთი, რომლებიც სუსტად არიან დაკავშირებული აქტივისთან. მათი თანამშრომლები ძველებურად მუშაობენ: მოელ სტატიებს „ორგანიზებენ“ ტელეფონით, თვითონ წერენ მეტ ნილ კორესპონდენციებს. ასეთ უნაყოფო შრომაზე ამაოდ იხარჯება ძალები, გაზეთი მოსაწყენი ხდება, კარგავს ხელისმომწერლებს. ყოველივე ეს იმის შედეგია, რომ ცალკეული რედაქციები და პარტიული კომიტეტები ნაკლებ უურადღებას უთმობენ თანამედროვე პირობებში მუშსოფლკორთა მოძრაობის უველაზე საარსებო მოთხოვნებს.

ჩვენს პრესას ახლა მილიონობით აქტივისტი პყავს, და მთავარი ის არის, რომ კარგად დავაკანონოთ საზოგადოებრივ კორესპონდენტთა აღზრდა, ავამაღლოთ მათი კულტურა და პროფესიული ცოდნა, განვუვითაროთ ცხოვრების ყოველმხრივ შესწავლის, საინტერესოდ და შინაარსიანად წერის უნარი. შესაძლებელი სარგებლობა მოაქვს ასეთი სწავლის სხვადასხვა ფორმას: მუშკორთა სკოლებსა და უნივერსიტეტებს, სემინარებს, შემოქმედებითს დისპუტებს, ლიტერატურულ გაერთიანებებში მეცადინეობას, გაზეთების რედაქციებში პრაქტიკას. მაგალითად, პრესის აქტივისტებთან უკვე მრავალი წელია ნაყოფიერ მუშაობას ეწევა მოსკოვის მუშკორთა უნივერსიტეტი.

აქტივთან ურთიერთობის გახშტკიცების საიმედო გზა ის არის, რომ მეტი უურადღებით მოვეკიდოთ მშრომელთა წერილებს. ის რედაქციები, რომლებიც ჯდებასმით სწავლობენ ყოველდღიურ ფოსტას, სიყვარულით არჩევენ პრესისათვის ყველაზე მნიშვნელოვან წერილებს, ზრუნავენ, რომ გაზეთში დაბეჭდილი თუ გამოოუქვეყნებელი ყოველი სიგნალის გამო ხორციელდებოდეს ღონისძიებანი, ამრავლებენ თავიანთი აქტივის რიგებს. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ამასწინანდელ ბრძანებულებაში წერილებისა და საჩივრების განხილვის წესის შესახებ სერიოზული უურადღება აქვს დათმობილი იმ წერილებს, რომლებსაც დაწესებულებები და ორგანიზაციები იღებენ ჟურნალ-გაზეთების რედაქციებიდან. ეს დაეხმარება ჩვენს პრესას კიდევ უფრო წარმატებით იმუშაოს ფოსტაზე.

თანამედროვე ეტაპზე დიდი მოთხოვნები დგას ჟურნალისტთა და საზოგადოებრივ კორესპონდენტთა შემოქმედებითი საქმიანობის კოლექტიური ფორმების — საგაზეთოების, რედიგების, დათვალიერებების წინაშე. თუ ყოველივე ამას ეკონომიურად მოვაწყობთ, მოვიზიდავთ დაკვირვებულ და გონიერ ადამიანებს, რომლებიც იცნობენ ცხოვრებას და უნარი შესწევთ ღრმად შეიისწავლონ იგი, — მუშკორთა საგაზეთოების კორესპონდენციებიც, რედიგების მასალებიც, მასობრივ დათვალიერებათა შედეგების შესახებ დაწერილი სტატიებიც შეიძლება გაზეთის მშვენება გახდეს.

მუშა და სოფლის კორესპონდენტთა მოძრაობას შესანიშნავი, გმირული წარსული, მჩქეფარე აწმყო და დიდი მომავალი აქვს. ამ მოძრაობაში დღითიდღე სულ უფრო ძლიერ, სულ უფრო მკაფიოდ გამოვლინდება საბჭოთა პრესის განუყოფელი კავშირი ხალხთან.

PRAVDA

5 ივნისის მოწინავე

ბულგარეთი

ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს და ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს ორგანო

ОТЕЧЕСТВО

ОРГАН ЦК БОЛГАРСКОЙ КОМПАРТИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ НАРОДНОЙ РЕСПУБЛИКИ БОЛГАРИИ

ОТЕЧЕСТВО

5 ივნისის მოწინავე

ბულგარეთის ფიზკულტურელთა ახალი წარმატება

ზელიზელ მეცხრეჯერ

სსრ კავშირის სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციათა კავშირის ცენტრალურმა საბჭომ შეაჯამა სპორტული ორგანიზაციების მიერ გასულ წელს გაწეული მუშაობის შედეგები და ფიზიკური კულტურისა და სპორტის გაგრძელებაში მოპოვებული წარმატებებისათვის სპორტკავშირის ცენტრალური საბჭოს საპატიო სიგელებით დაჯილდოვა **რსფსრ-ის, უკრაინის, ბელორუსიის, ყაზახეთის, საქართველოსა** და **ესტონეთის** სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციათა კავშირები.

საპატიო სიგელებით დაჯილდოებულნი არიან აგრეთვე ნებაყოფლობითი სპორტული საზოგადოებები, სოფლის სასპორტო საზოგადოებები და საქალაქო სპორტკავშირები. მათ შორის არიან საქართველოს „კოლმეურნე“ და თბილისი სპორტკავშირი.

ჩვენს რესპუბლიკის ფიზკულტურულმა ორგანიზაციამ ფიზიკური კულტურისა და სპორტის, განვითარების, გეგმებისა და კალდებულებათა წარმატებით შესრულებისათვის ზედიზედ მეცხრეჯერ მოიპოვა საპატიო ჯილდო და საბუდაბოდ შეინარჩუნა გარდამავალი წითელი დროშა. ისეც აღსანიშნავია, რომ „ბოლაშვილი“ რესპუბლიკათა შორის ინიციატივა მაჩვენებლებით საქართველოს პირველი ადგილი უჭირავს.

საიუბილეო 1967 წელს ფიზკულტურელთა რიცხვმა საქართველოში მიღწია 100 ათასს მიაღწია. ეს იმის მაჩვენებელია, რომ თითქმის ყოველი მეოთხე კაცი ჩაბმულია ფიზკულტურაში და სპორტში. ბევრად გაიზარდა ტურისტების მიმდევართა, საწარმოო ტანვარჯიშში მონაწილეთა, ადგილთა ტანვარჯიშში მონაწილეთა, ადგილთა რიცხვი. საქართველოს სპორტსმენთა გახარებულებაშია 97 სტადიონი, 773 სპორტული ტანვარჯიშის დარბაზი, 55 სალეტოვანი აუზი, 546 ელექტრული სპორტული მოედანი და 8.470 მოედანი სპორტთამაშებისათვის.

როგორც ვხედავთ, წარმატებები დიდია. მაგრამ ჯერ არის ახალი ზღუდეები. გვიკვირა, რომ ჩვენი რესპუბლიკის ფიზკულტურული ორგანიზაციები კვლავ გაგვაცხარებენ, წარმატებით შესრულებენ 1968 წლის გეგმებსა და კალდებულებებს.

ქეთილი იყოს თქვენი მობრძანება!

საქართველოს საპატიო სტუმრები

თბილისში ჩამოვიდნენ ავღანეთის მეფე მუჰამედ ზაჰირ შაჰი და დედოფალი უმაირა

ავღანეთის მეფის შეხვედრა თბილისის აეროდრომზე. სურათზე: (მარცხნიდან მარჯვნივ) საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე გ. დ. ჯავახიშვილი, ავღანეთის მეფე მუჰამედ ზაჰირ შაჰი და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ს. ძოწენიძე.

ფოტო გ. კოკვაძისა (საქდესის ფოტოკორონიკა).

გულთბილად შეხვდა საქართველოს დედაქალაქი 5 ივნისს ავღანეთის მეფეს მუჰამედ ზაჰირ შაჰსა და დედოფალს უმაირას, რომლებიც ჩვენს კვეყანაში ჩამოვიდნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის და საბჭოთა მთავრობის მოწვეით. მეესალმნენ რკ საპატიო სტუმრებსა და მათი სახით მამაც და შრომისმოყვარე ავღანელ ხალხს, თბილისელებმა, ისევე როგორც ყველა საბჭოთა ადამიანმა, გამოხატეს გულწრფელი სურვილი კიდევ უფრო განამტკიცონ და განავითარონ კეთილმეზობლური და მეგობრული ურთიერთობა ავღანეთთან.

...აეროპორტში მიმავალი ქუჩები და მოედნები მორთულია ავღანეთის, საბჭოთა კავშირისა და საქართველოს სს რესპუბლიკის სახელმწიფო ალმებით, პუშტუ, ფარსულ, რუსულ და ქართულ ენებზე ტრანსპარანტებს აწერია: „გულითადი სალამი მეს უდიდებულესობას მუჰამედ ზაჰირ შაჰს, ავღანეთის მეფეს!“, „კეთილი იყოს თქვენი მობრძანება, ავღანელო სტუმრებო!“, „გაუმარჯოს საბჭოთა კავშირ-ავღანეთის მეგობრობას!“.

სადღესასწაულოდ მორთულია აეროპორტი. აქ შეკრებილან რესპუბლიკის დედაქალაქის საზოგადოებრიობის წარმომადგენლები. ავღანეთის მეფისა და დედოფლის შესახვედრად მოვიდნენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე გ. დ. ჯავახიშვილი მეუღლითურთ, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საგარეო საქმეთა კომისიის თავმჯდომარე გ. დ. სტურუა მეუღლითურთ, გენერალ-პოლკოვნიკი ა. ნ. ინაური, რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე შ. ძ. ლელაშვილი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები ზ. ბ. გელდიაშვილი, ნ. გ. გომელაური, ე. მ. ჯაფარიძე, ა. მ. ლაბახუა, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე რ. რ. დვალი, რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. ა. კვაკაძე, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე შ. ე. ბუხრაშვილი, საქართველოს სსრ მინისტრები ა. ა. გიგოშვილი, გ. ნ. ჯიბლაძე, თ. ვ. ლაშქარაშვილი, ლ. ა. საყვარელიძე, ვ. ზ. თოხაძე, ა. ე. ჭირაქაძე, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის კომისიის თავმჯდომარე გ. შ. მიქელაძე, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველი მ. ა. მეგრელიშვილი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატები კ. კ. გორდაფხაძე, დ. ვ. მშვილდიშვილი, ვ. ი. ჭიაურელი და სხვა ოფიციალური პირები.

14 საათსა და 10 წუთზე მოსკოვიდან მომავალი სპეციალური თვითმფრინავი დაეშვა. თვითმფრინავიდან ქართულ მიწაზე ჩამოდიან ავღანეთის მეფე მუჰამედ ზაჰირ შაჰი და დედოფალი უმაირა. ავღანეთის სახელმწიფოს მეთაურთან ერთად ჩამოვიდნენ ქვეყნის მინისტრი ალი მოჰამედი, ავღანეთის ელჩი სსრ კავშირში მუჰამედ არეფი, საგარეო საქმეთა სამინისტროს მრჩეველი მუჰამედ მუსა შაფიკი, საგარეო საქმეთა სამინისტროს პოლიტიკური დეპარტამენტის გენერალური დირექტორი აბდულ გაფურ რავან ფარჰადი, საგარეო საქმეთა სამინისტროს საოლქო დეპარტამენტის დირექტორი მუჰამედ ამინ ეთემადი, მეფის უფროსი ადიუტანტი გენერალი მუჰამედ ომარი, ავღანეთის მოსკოვის საელჩოს სამხედრო ატაშე პოლკოვნიკი აბდულა რუკაი სულაიმანი და სხვა სტუმრები. გულთბილი მისალმებანი, ხელის მაგრად ჩამორთმევა.

ავღანეთის მეფესთან და დედოფალთან ერთად მოსკოვიდან ჩამოვიდნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ს. ძოწენიძე მეუღლითურთ, სსრ კავშირის ელჩი ავღანეთში კ. ი. ალექსანდროვი ადგილობრივ ეროვნულ ფერებში მოსილ ბავშვებს ყვავილებს ჩაბარებენ.

ავღანეთის მეფეს ამ ბავშვებმა ბაზარ-ბაზარ ბალახი ჩაუყარეს ფეხქვეშ. ეს ბალახი ავღანეთში ბედნიერებისა და ბედის სიმბოლოა. ავღანეთის მეფეს ბავშვებმა ბალახი ჩაუყარეს ფეხქვეშ, ეს ბალახი ავღანეთში ბედნიერებისა და ბედის სიმბოლოა.

დარბაზობა მეფე მუჰამედ ზაჰირ შაჰის პატივსაცემად

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ ნ. ივნისს მოწვნილდაზე სადანკეტო დარბაზში დარბაზობა გამართეს ავღანეთის მეფის მუჰამედ ზაჰირ შაჰისა და დედოფალ უმაირას პატივსაცემად.

სანადარბაზოს სტუმრებთან ერთად სადღილად იყვნენ მეფის კარის მინისტრი ალი მუჰამედი, ავღანეთის ელჩი საბჭოთა კავშირში მუჰამედ არეფი, საგარეო საქმეთა სამინისტროს მრჩეველი მუჰამედ მუსა შაფიკი, საგარეო საქმეთა სამინისტროს პოლიტიკური დეპარტამენტის გენერალური დირექტორი აბდულ გაფურ რავან ფარმადი, საგარეო საქმეთა სამინისტროს საოქმო დეპარტამენტის დირექტორი მუჰამედ ამინ ეთემადი, მეფის უფროსი ადიუტანტი გენერალი მუჰამედ ომარი, სსრ კავშირში ავღანეთის საელჩოს საბჭოსდრო ატაშე პოლკოვნიკი აბდულა რუქი სულაიმანი და სხვა ოფიციალური პირნი.

საბჭოთა კავშირის მხრივ დარბაზობაზე იყვნენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ს. ძოწენიძე, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე გ. დ. ჯავახიშვილი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საგარეო საქმეთა კომისიის თავმჯდომარე დ. გ. სტურუა, რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე, მ. მ. ლელაშვილი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები ნ. გ. გომელაური, ე. მ. ჯაფარიძე, ა. მ. ლაბახუა, საბჭოთა კავშირის ელჩი ავღანეთში, ს. ი. ალექსანდროვი, არმიის გენერალი ა. ა. ლუჩინსკი, გენერალ-პოლკოვნიკი ა. ნ. ინაური, საქართველოს სსრ მინისტრები, სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოების დეპუტატები, საზოგადოებრიობის წარმომადგენლები.

დარბაზობის დროს გ. ს. ძოწენიძემ და მუჰამედ ზაჰირ შაჰმა სიტყვები წარმოთქვეს.

დარბაზობამ გულთბილ, მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა. (საქდესი).

მეგობრობის ავტომაგისტრალები

დიდი მეგობრობა აკავშირებთ საბჭოთა და ავღანელ ხალხებს. საბჭოთა კავშირის ტექნიკური და ეკონომიური დახმარებით შეგობარ ავღანეთში შენდება დიდი ნაგებობანი, წარმატებით წყდება ეროვნული ეკონომიკის განვითარების დიდმნიშვნელოვანი ამოცანები. ავღანეთთან თანამეგობრობისა და კეთილმეზობლურ ურთიერთობაში მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ ქართველ სპეციალისტებსაც.

კაბინეტულ საფარიანი სახელმწიფო საავტომობილო გზები, რომლებიც მთელი წლის განმავლობაში ეამოიყენება, პრაქტიკულად ავღანეთში მხოლოდ ამას წინათ შეიქმნა.

ერთი მიზნითა და საერთო ინტერესებით შეკავშირებულმა საბჭოთა კავშირ-ავღანეთის სპეციალისტთა ერთსულოვანმა კოლექტივმა შეძლო ბოლო წლების მანძილზე შემეჯიდრობელ ვადებსა და უაღრესად ძნელ პირობებში დაეძლიერინა ავღანეთში თანამეგზრობა ავტომაგისტრალებისა და სხვა ნაგებობების მშენებლობა, რომლებიც საჭიროა მათი შეუფერხებელი მუშაობისათვის.

მთელი რიგი წლების მანძილზე „საკგზაპროექტის" სახელმწიფო-საპროექტო ინსტიტუტის თბილისის ფილიალის სპეციალისტები აწარმოებდნენ ძიებას, შემდეგ კი დააპროექტეს და მონაწილეობდნენ ჩვენი საშრეთელი მეზობლის ისეთი უნიკალური ავტომაგისტრალების მშენებლობაში, როგორიცაა 107 კილომეტრის სიგრძის სალანგის გზატკეცილი, რომელიც ჰინდუკუშის მთებში გადის, კუშკა-ჰერეიკ — ყანდაღარის გზა, რომელიც კვეთს მთელ ავღანეთს და 680 კილომეტრზე გადაჭიმულა სასაზღვრო ქალაქ კუშკიდან ავღანეთის ბელ დედაქალაქამდე, დოში-შირხანის გზა და სამი დიდი ხიდი მდინარეებზე ჭაბულსა და კუნარზე.

შესრულებულ სამუშაოთა სირთულეზე შეიძლება ვიმსჯელოთ თუნდაც იმით, რომ ეს გზები კეთილ რამდენიმე უღელტეხილსა და უდაბნოს, ვადიან მაღალი მთის დიდ გვირაბებში, მათ შორის არის სამ კილომეტრამდე სიგრძის გვირაბი. ხიდებზე, თოლდამცავ ბალურებსა და სხვა საინჟინრო ნაგებობებზე. აქ აშენდა ათობით ტექნიკური მომსახურების სადგური, საელფოტაციო სამსახურის შენობა და ნაგებობა, რომლებიც აღჭურვილია ყველა ტექნიკური მოწყობილობით. მარტო კუშკა-ჰერატ-ყანდაღარის გზის მშენებლობაზე მუშაობდა საბჭოთა კავშირიდან ეგზავნილი სამი ათასამდე ერთეული საგზაო-სამშენებლო ტექნიკა და ავტომობილი.

ავღანეთში საავტომობილო გზების დაპროექტებასა და მშენებლობაში დიდი მონაწილეობა მიიღეს „საკგზაპროექტის" თბილისის ფილიალის თანამშრომლებმა ა. ალიმბარაშვილმა, ვ. ჭესენოდოროვმა, პ. კანიტმე, ო. მხეიძემ, ა. გოროზიამ, გ. სტეპანოვმა, ხ. ხარიტონოვმა, დ. კოკაიამ, ვ. აკოფოფოვმა და ბეგრმა სხვამ. ინტენსიერი ი. მოდებაძე და ბეგრი სხვა სპეციალისტი ხელმძღვანელო მონაწილეობას იღებენ ახალი ავტომაგისტრალების ექსპლოატაციაში. ჩვენებლობაში დიდი წვლილი შეიტანეს ავღანელმა ინჟინრებმა ჯაზეკ-ხანმა, გულ ბაჩა ხანმა, მუჰამედ აზიზ ხანმა, ამფეთქებელმა ტარგულმა, მეკანიკოსმა მამაჯანამ, მეექსკავატორე აზიზ მურადმა და ბეგრმა სხვამ.

ამ დღეებში, როცა თბილისში იმყოფება ავღანეთის მეფე მუჰამედ ზაჰირ შაჰი მეუღლითურთ, საქდესის კორესპონდენტმა სთხოვა „საკგზაპროექტის" თბილისის ფილიალის მთავარ ინჟინერს ნ. სლოვინსკის ეთქვა, თუ რა მდგომარეობაშია დღეს ჩვენ-ველ სპეციალისტთა დახმარებით ავღანეთში აშენებული ნაგებობანი.

— უწინარეს ყოვლისა მინდა ავღნიშნო, — თქვა ნ. სლოვინსკიმ, — ჩვენი სპეციალისტი სსრ კავშირის — ავღანეთის მეფის მუჰამედ ზაჰირ შაჰის მუდმივი ზრუნვა ყურადღება და მონაწილეობა მეგობარ ქვეყანაში ავტომაგისტრალებისა და ხიდების მშენებლობის მოცულობით კოლოსალურ სამუშაოთა ყველა სტადიაში.

რაც შეეხება იმას, თუ რა მდგომარეობაშია ამჟამად გზები, სამი წლის მანძილზე შემოწმებამ გვიჩვენა, რომ ისინი შეუფერხებლად მუშაობენ მკაცრი ზამთრის, ქარიშხლის, ქარბუქის, ნამქერისა და ბუნების სხვა მოვლენების მიუხედავად. მინდა ვისარგებლო შემთხვევით და გაცნობოთ, რომ ავღანეთში გზების ძიებასა და დაპროექტებას ახლა წარმატებით აწარმოებენ ჩვენი მოსკოველი კოლეგები. (საქდესი).

დროშეგი და პრემიეგი გაზიფიკატორეგს

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული გაზიფიკაციის მთავარი სამმართველოს საწარმოებმა და ორგანიზაციებმა გადაეარებით შეასრულეს სოციალისტური ვალდებულებანი 1968 წლის პირველ კვარტალში.

გაზიფიკაციის მთავარი სამმართველოს კოლეგიამ და ადგილობრივი მრეწველობისა და კომუნალურ - საყოფაცხოვრებო საწარმოების მუშათა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმმა განიხილეს შეჯიბრების მასალები. გამარჯვებულად აღიარეს „რუსთავგაზის" ტრესტისა და „აბერგაზის" სამმართველოს კოლექტივები და მათ მიანიჭეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს გარდამავალი წითელი დროშები, აგრეთვე პირველი ფულადი პრემიები.

მეორე ფულადი პრემიებით დაჯილდოებული არიან „აფხაზგაზის" სამმართველოსა და „თელავგაზის" №3 ტრესტის კოლექტივები. მესამე ფულადი პრემიები მიიღეს „ქუთაისგაზის" სარაიონთაშორისო სამშენებლო-საექსპლოატაციო კანტორისა და „თბილისგაზის" სამმართველოს ლენინის რაიონის გაზის მეურნეობის კანტორის კოლექტივებმა.

აღინიშნა № 2 ტრესტის, „მახარაძეგაზის", „ხაშურგაზისა" და „ჭიათურგაზის" სარაიონთაშორისო - საექსპლოატაციო კანტორების კოლექტივების კარგი მუშაობა. (საქდესი).

ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

პროფესორ ი. თ. ბუბუბერიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ხანგრძლივი და ნაყოფიერი სამეცნიერო-პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის, დაბადების სამოცწლოვნად დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის კომისიის განყოფილების გამგე ამხ. შალვა სპირიდონის-ძე **შეულაშვილი** დაჯილდოდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. ავალიანი

თბილისი, 1968 წლის 5 ივნისი.

ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ამხ. შ. ს. შეულაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

სამთამადნო მრეწველობის დარგში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოცწლოვნად დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის კომისიის განყოფილების გამგე ამხ. შალვა სპირიდონის-ძე **შეულაშვილი** დაჯილდოდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. ავალიანი

თბილისი, 1968 წლის 5 ივნისი.

ფიზლარის ზამთრის საძოვრებზე

ფიზლარის ზამთრის საძოვრებზე მომთაბარე ქართველ მეცხვარეთა სამმართველო კოჩუბეიშია. ფიზლარის ზამთრის საძოვრებზე ქართველი მეცხვარეები დიდიხანია მომთაბარეობას ეწევიან. აქედან სამოთხი კილომეტრის მოშორებით რკინიგზის სადგურია, ეს სადგური სამოქალაქო ომის გმირის კოჩუბეის სახელს ატარებს.

კოჩუბეიში ეს მეექვსედ ვართ ჩასული. განსაკუთრებით ამ უკანასკნელ წლებში მთლიანად იცვალა სახე დაბამ. მახსოვს, პირველად რომ ჩავედით, ოთხის გათევა პრობლემა იყო. ახლა კი ორი სასტუმროა, ერთი საქართველომ ააშენა, მეორე — დაღესტანმა. მწყემსების საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებასა და ცხვრის მოვლა-პატრონობაში ხომ ისეთი ნახტომი გადადგმული, რომ გაგიკვირდება. ამის ხათელსაყოფად ისევ სამმართველოს უფროსს მიხეილ გელაშვილს მივმართთო. თუმცა, ამის ნახვა ცხვრის პარსვისა და იალაღებზე გასამგზავრებლად მზადების პერიოდში, ძნელი იყო. რაღაც იღბლად ადგილზე დაგვხვდნენ უფროსიც და მთავარი ვეტექიმი სერგო ციხიშვილიც. მაგიდაზე ქაღალდები ჰქონდათ გაშლილი და საქმეზე საუბრობდნენ.

კაბინეტის კარის შეღება და მიხეილ გელაშვილის გაღიმება ერთი იყო. გულიდა სალამს მაშინვე მოაყოლა: საქართველოს საზოგადოება „ცოდნას" არასოდეს არ ვავიწყდებით. — ცოტახანს შეჩერდა, მერე კი ისევ სიტყვა გაგრძელა: — ჩვენი ბიჭები კარგ ხასიათზე არიან. დღი ბარაქიანი იყო, მეცხვარეები სიამოვნებით მოისმენენ საინტერესო ლექციებს.

მიხეილ გელაშვილს სხვა დროსაც შეეხვედრიდითართ, მაგრამ ასე აღტაცებული არ გვიხილავს. რა თქმა უნდა, ამ სიხარულის საბაბები საბოლოოდ გასული წლის ნაყოფიერი მუშაობა.

ყიზლარის საძოვრებზე საქართველოს ნახევარ მილიონამდე ცხვარია ხოლმე გაშლილი. საძოვრებზე მწყემსებისათვის გახსნილია ორი საავადმყოფო, ათზე მეტი მაღაზია, ნაყოფიერ მუშაობას ეწევა კულტურის სახლი. ჩვენი ხშირი სტუმრები არიან თბილისელი მსახიობები... — აი ახლა კი თქვენ ჩამოხვედით ლექციასაუბრების ჩასატარებლად... ერთი სიტყვით, ჩვენს მწყემსებს ხელის შეწყობა არ აკლიათ. ამ ყურადღებას გრძნობენ მწყემსები და არც ისინი არიან ვალში. ნამატის მიღებისა და შენარჩუნების გეგმა წრმატებით შესრულდა. ცხვრის პარსვაც დროულად დამთავრდა.

სამმართველოს უფროსმა შემდეგ ხალხთა მეგობრობაზე ჩამოაგდო ლაპარაკი, თუ როგორ კარგი ურთიერთობა აქვთ დაღესტნელ და ქართველ მწყემსებს.

გასული წლის ერთ დღეს ნისლი ისე ჩამოწვა, რომ აღარაფერი ჩანდა, ერთ ნაბიჯზე კაცი კაცს ვერ დაინახავდა. დიდი სიფრთხილის მიუხედავად, კობელ მეცხვარეებს ცხვრის ფარა თავის მეცხვარიანად დაეკარგათ. ორი დღე და ღამე ძებნეს, მაგრამ ვერ მიაგნეს. მწყემსებს განსაკუთრებით მეცხვარის დაკარგვა წუხებდათ. უკიდეგანო მინდვრები თოვლით იყო დაფარული და შეიძლება ქონს სადღაც მიენამჩარა ისინი.

მესამე დღეს მწყემსების სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა, როცა მათთან მოვიდნენ დაღესტნელ მეცხვარეთა წარმომადგენლები და აცნობეს, მწყემსიც კარგად არის და ფარაც უკლებლივ ჩვენთან არისო.

გზაბანეული ფარა დაღესტნელებს თავიანთ ბინაზე მიეყვანათ, მწყემსისათვის სამედიცინო დახმარება გაეწიათ, გაეთბოთ, დაეპურებინთ, ცხვრისათვის კიდევ საკვები მიეცათ.

კობელებმა რომ უთხრეს, საკვებში საკვებს დაგიბრუნებთო, დაღესტნელებმა იუარეს, ეგ როგორ შეიძლება, ძმებს შორის ასეთი რამე არ მოდისო.

თბილისიდანვე გადაწყვეტილი გვქონდა რომელიმე კოლმეურნეობის მეცხვარეებზე ნარკვევი დაგვეწერა. აი უკვე რამდენიმე დღეა მწყემსებს შორის ვტრიალებთ, ეკითხულობთ ლექციასაუბრებს მეცხოველეობაზე, ლიტერატურაზე, ხელოვნებაზე... მწყემსები გულღიად გვეგებებიან, აქაც ამ თვალეუწედნელ მინდვრებში სტუმართმოყვარეობას არ იშურებენ. მიგიწვეიან, და თავი საქართველოში გეგონებათ. აბა, ეწვეთ ყაზბეგის, თიანეთის, ფუშეთის, ლენინგორის, ჯავის რაიონების კოლმეურნეობების მწყემსებს, ცხვრის მოვლა-პატრონობასთან ერთად ხახვზადაც ვარგიან და მზარეულადაც, კერაში ცეცხლი გამუდმებით გუზგუზებს... რაღა ზორს ეფიდეთ, ვეწვიოთ თუნდაც ყაზბეგის რაიონის სოფელ სიონის კოლმეურნეობის მეცხვარეებს, გინდა თიანეთის საკოლმეურნეობათაშორისო მეცხვარეობის საბჭოს ბინებს, ან კიდევ დუშეთის რაიონის ბაზალეთელ მწყემსებს, თუმცა რომელი ერთი ჩამოვთვალოთ...

როგორც კაცელი გლეხისათვის ძნელია ოჯახურად არსებობა, ასევე წარმოუდგენელია მყინვარის ალოთებზე და თოგის ნაპირებზე მცხოვრებ ადამიანთათვის უცხეაროდ ყოფნა.

„ცხვარი სახლში შეგიდა და სიღარიბე გარეთ გამოვიდაო". ამ ქართული ანდაზის მეიმეველობა კარგად იცოან სიონელმა მწყემსებმა, მაგრამ ისიც იცოან, რომ თუ ცხვარს არ მოუვლი და დღე და ღამე მასზე არ ფიზრუნებ, თავისით დოლათ-ბარაქა თუ ხახში ფეხს ვერ მოიკიდებს.

სიონის კოლმეურნეობის 30.000 სული ცხვარი თერთმეტ ბრიგადაზეა განაწილებული. თვითეულ ბრიგადაში ათი-თორმეტი ალია, ე. ი. ასზე მეტი ადამიანი ემსახურება ცხვარს.

მწყემსებისათვის საცხოვრებელი და ცხვრისათვის სადგომი ბინების მშენებლობის, კეთილმოწყობის, აგრეთვე საკვების მოპოვება-მომარაგების საქმე მინდობილი აქვს შალვა სულიაურს. როგორ ეს პასუხსაგები მოვალეობა დაეკისრეს, მისმა მამამ გაბრიელმა ცალკე გიხმო შვილი და დაარიგა:

— შალვა ჩემო, მძიმე საქმეს კისრულობ, ნოლაის ველებში ზამთრისათვის საკვების მომარაგება ადვილი არ გეგონოს, მეკვლეი ბინების აშენებაც როდია იოლი, მაგ საქმეს ბევრი გადაყაყავ. თუ ვერ შეძლებ, სკობს ახლავე ეარი თქვა, თორემ მერე, თუ შერცხვა, თურგიც ვერ გაგრეცხავს.

მართალი იყო გაბრიელი. ვინ დათვლის, საკვების ნაკლებობას რამდენჯერ აუფორიაქებია გამოცდილი მეცხვარის გული. გგონია ზამთარი უშფოთველად მიდის, მინდორშიც ისევე ცხვარი სძოვს ბალახს, ბინაზე ცოტა თივასაც წყალობას და გვეა დღეებიც... მაგრამ უცაბ ისეთ თოვლს დასდებს, შიგ ცხენიანი კაცი ჩაიმალება, ბინიდან ცხვირის გარეთ გაყოფა ალარ შეიძლება. ამ დროს საკვები თუ საკმაოდ გაქვს მომარაგებული, არა უშავს რა, მაგრამ თუ არ გეყოფა... მაშინ ყველაფერი წყალში გადაიყრება. ამაში მწარეზე-მწარე გამოცდილება ჰქონდა მწყემსობაში დაბერებულ გაბრიელს; ამიტომ იყო, რომ შიშობდა, ვაი თუ ჩემმა შვილმაც ვერ გაართვას თავი და საქვეყნოდ შეგრცხვეთო.

შალვა სულიაური ჩაუდგა თუ არა მშენებლობასა და მომარაგებას სათავეში, მაშინვე იერიში მიიტანა გადაუდებელ საქმეებზე, დიდი ნაწილი საკვებისა ადგილზე, ნოლაის ველებზე დამაშალა, რის შეტანაც გარედან შეიძლებოდა, ალარც ის დააყოვნა. ბინების მშენებლობაც ზაფხულშივე მოათავა. კოლმეურნეობაში მეცხვარეობის თეორეტიკი ბრიგადაა და თერთმეტივეს მკვიდრად ნაგები ბინები დაახვედრა. ამ ბრიგადების ცენტრში შეიდოთახიანი კანტორა დაიდგა, ერთ ნაწილში გაიხსნა კლუბი, მეორეში — ბიბლიოთეკა, ერთი თოახიც სასტუმროს დაეთმო.

მკაცრი ზამთარი დადგა, დიდი თოვლი მოვიდა, მაგრამ სიონელებს ვერაფერი დააკლო. სადგომებში ლაღობდა ცხვარი და ამა ამ დროს მწყემსის გულს რაღა დაალონებდა. შალვაც ხარობდა, მაგრამ მის გულს ერთი დარდი მაინც „ჭამდა" — მწყემსებს არ ჰქონდათ ამბანო.

შალვა სულიაურს ჯერ არ უნდოდა ამის გამხელა. კოლმეურნეობას გასულ წელს იქაც ბ[illegible] ბინების მშენებლობაზე, და ა[illegible] თუ გამეკეთას არ დაეკარგა ბინარი. ამიტომ თავი შეიკავა, ითმინა, ითმინა და ბოლოს [illegible] კოლმეურნეობის თავმჯდომარეს ფი[illegible] ...ტა მ[illegible]ომარ ბინარი ეა[illegible] ...ეს ბინარი ...ეა. ...ეგ ...ეა. ...ეა. ...ეა.

საკავშირო ცხოვრება

ეროვნული პროგლემები

მსოფლიოს დეპეშათა სააგენტოები იუწყებიან

მცირედ ფაქტები

● **ჟენევა**, 5 ივნისი. (საკადესი). გაეროთა ანეგანგული ერების ორგანიზაციის კოსმოსური სივრცის მშვიდობიანი გამოყენების კომიტეტის იურიდიულმა ქვეკომიტეტმა მუშაობა დაიწყო ჟენევაში. ქვეკომიტეტის ახალგაზდელი მე-7 სესია მთავარ ყურადღებას დუთმობს კოსმოსში გაშვებული ობიექტების მიერ მიყენებული ზარალისათვის კასუხისგებელობის შესახებ შეთანხმების პროექტის განხილვას.

● **კაირო**, 5 ივნისი. (საკადესი). ისრაელი კვლავ გაგალებით უყრის თავს ჯარებს იორდანიასთან ცეცხლის შეწყვეტის ხაზზე, რათა გაფართოოს პროვოკაციული აქციები ამ ქვეყნის წინააღმდეგ. ისრაელის ავიაციის გუშინდელი თავდასხმა იორდანიის ჯარების პოზიციებსა და ქალაქ ირბიდზე განხორციელდა საგულდაგულო მოამზადების შემდეგ.

● **ბუენოსაიერესი**, 5 ივნისი. (საკადესი). 2 ივნისს პრეზიდენტის არჩევნებში ეკვადორის რესპუბლიკის პრეზიდენტად არჩეულია **ხოსე მარია ველასკო იბარა**. წარსულში იგი ოთხჯერ აირჩევინეთ ლათინეთ-ამერიკის ამ ქვეყნის პრეზიდენტად.

ჩეხოსლოვაკია

პარტიულ აქტივთა კრებები

პრაღა, 4 ივნისი. (საკადესი). ჩეხოსლოვაკიაში მიმდინარეობს პარტიულ აქტივთა კრებები, რომლებიც ეძღვნება ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის შედეგებს. კრებებში მონაწილეობენ ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრები, ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნები და პარტიის სხვა ხელმძღვანელი მოღვაწეები.

გუშინ ბრნოში აქტივის რესპუბლიკური კრების მონაწილეთა წინაშე სიტყვა წარმოთქვა ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ა. დუბჩეკმა.

პარტიულ აქტივებს დიდ ყურადღებას უთმობენ რადიო, პრესა, ტელევიზია. „რუდე პრავო“ დაწვრილებით აშუქებს აქტივთა მუშაობას, ხაზს უსვამს, რომ კრებების მონაწილენი საკუთარი უმეტესი მხარს ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიმართ, ეწინააღმდეგებიან ანტისოციალისტურ ელემენტებს, ეხმიანებიან ცენტრალური კომიტეტის ბრძოლას ოპორტუნისტებისა და ანტისოციალისტების ნგრევითი საქმიანობის ბოლოს მოსადებად.

ეს ფაქტი ადასტურებს, რომ ჩეხოსლოვაკიის ხალხი ეთანხმება ცენტრალური კომიტეტის ბრძოლას ოპორტუნისტებისა და ანტისოციალისტების ნგრევითი საქმიანობის ბოლოს მოსადებად.

ეს ფაქტი ადასტურებს, რომ ჩეხოსლოვაკიის ხალხი ეთანხმება ცენტრალური კომიტეტის ბრძოლას ოპორტუნისტებისა და ანტისოციალისტების ნგრევითი საქმიანობის ბოლოს მოსადებად.

დაამყარეს დიპლომატიური ურთიერთობა

პრაღა, 4 ივნისი. (საკადესი). ჩეხოსლოვაკიისა და ზემო ვოლტის მთავრობებმა გადაწყვიტეს დაამყარონ დიპლომატიური ურთიერთობა საელჩოთა დონეზე. ეს ნათქვამია ამ გამოქვეყნებულ კომუნიკეში ზემო ვოლტის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის მ. ზურომის ჩეხოსლოვაკიის სოციალისტურ რესპუბლიკაში ვიზიტის გამო. როგორც ჩეხოსლოვაკიის დეპეშათა სააგენტო იუწყება, ზემო ვოლტის პრემიერი კრალიდან გუდაპეშტს გაემგზავრა.

საფრანგეთი ემზადება არჩევნებისათვის

პარიზი, 4 ივნისი. საკადესის კორესპონდენტი ა. კრასიკოვი იუწყება:

დღეს მთელ საფრანგეთში დაიწყო ეროვნული კრების დეპუტატობის კანდიდატთა რეგისტრაცია. საყოველთაო არჩევნების პირველი ტური დანიშნულია 23 ივნისს, ხოლო მეორე — 30 ივნისს. კანდიდატთა რეგისტრაცია დამთავრდება 9 ივნისს შუადღით, რის შემდეგ 10 ივნისიდან ოფიციალურად დაიწყება საარჩევნო კამპანია.

საფრანგეთის კომუნისტურმა პარტიამ გადაწყვიტა თავისი კანდიდატები დასახელოს ყველა საარჩევნო ოლქში. ყველა საარჩევნო ოლქში ასახელებს თავის კანდიდატებს აგრეთვე დემოკრატიული და სოციალისტური მემარცხენე ძალების ფედერაცია, რომელშიც შედიან სოციალისტური პარტია, რადიკალთა და რადიკალ-სოციალისტთა პარტია და რესპუბლიკური ინსტიტუტების კონვენტი.

არჩევნების პირველ ტურში, სადაც არჩევისათვის საჭიროა ხმის აბსოლუტური უმრავლესობა, ორივე მემარცხენე ორგანიზაციის კანდიდატები, ისე როგორც 1967 წლის არჩევნებში, გამოვლენ დამოუკიდებლად. რაც შეეხება მეორე ტურს, საფრანგეთის კომუნისტური პარტია და დემოკრატიული და სოციალისტური მემარცხენე ძალების ფედერაცია შეთანხმდნენ მხარი დაუჭირონ ამ კანდიდატს, რომელიც პირველი ტურის შედეგად უკეთეს მდგომარეობაში აღმოჩნდება (მეორე ტურში არჩევისათვის საკმარისია ხმის შეფარდებითი უმრავლესობა).

მთავრობის ბანაკიც ყოველ ოლქს ხმარობენ წარმატების უზრუნველსაყოფად. 1967 წლის არჩევნების შედეგად ორმა მმართველმა პარტიამ — მეხუთე რესპუბლიკის დაცვის დემოკრატთა კავშირმა და დამოუკიდებელ რესპუბლიკელთა ეროვნულმა ფედერაციამ — ეროვნულ კრებაში მიიღეს ხმის აბსოლუტური უმრავლესობა. მაგრამ შემდეგში, მთელი რიგი ნაწილობრივი არჩევნების შედეგად, მათ დაკარგეს ეს უმრავლესობა, და ეროვნული კრების დათხოვნის წინ იძულებული იყვნენ თავიანთი პროექტების გასაყვანად სულ უფრო ხშირად გამოეყენებინათ ცენტრისტი დეპუტატების მხარდაჭერა, რომლებიც ოფიციალურად ოპოზიციას ეკუთვნიან. როგორც მთავრობის ოფიციალურმა წარმომადგენელმა გაანაცხადა, მმართველ პარტიებს სურთ ამ არჩევნების შედეგად უზრუნველყონ „ღადავი და ერთგვაროვანი უმრავლესობა ახალ ეროვნულ კრებაში“. ასეთი უმრავლესობა, მთავრობის აზრით, უნდა იყოს ორი ახლანდელი მმართველი პარტიის კოალიცია, რომლებიც ახლა იყოფენ ერთმანეთში მინისტრთა პორტფელებს.

რათა შეინარჩუნონ ძველი და შეძლებისდაგვარად მოიპოვონ ახალი ადგილები, მთავრობის მთავარმა პარტიამ — მეხუთე რესპუბლიკის დაცვის დემოკრატთა კავშირმა წინადადება მისცა „დამოუკიდებელ რესპუბლიკელებს“ პირველი ტურიდანვე წამოაყენონ საკრთო სიები ყველა საარჩევნო ოლქში, რათა ყოველ ოლქში მიმარცხენე ოპოზიციას დაუპირისპირდეს დეგოლელთა ერთი სიერთო კანდიდატი.

„დამოუკიდებელი რესპუბლიკელები“, რომლებიც უკვე დიდი ხანია სარგებლობენ ყოველგვარი შემთხვევით, რათა ხაზი გაუსვან თავიანთ „განსაკუთრებულ“ პოზიციას, არ დადასტურებენ ამას და წამოაყენეს კონტრწინადადება: იმ ოლქებში, რომლებიც ახლანდ დათხოვნილ ეროვნულ კრებაში წარმოდგენილი იყვნენ „დამოუკიდებელი რესპუბლიკელი“ დეპუტატებით, „დემოკრატთა კავშირმა“ არ უნდა დასახელოს თავისი კანდიდატები, ხოლო იქ, სადაც წარსულ არჩევნებში არჩეული იყვნენ ამ პარტიის წევრები, „დამოუკიდებელი რესპუბლიკელები“ თანახმა არიან ამჯერადაც მხარი დაუჭირონ მათ. ყველა დანარჩენ ოლქში მათი წინადადებით უნდა დასახელონ მთავრობის პარტიის ორი კანდიდატი, რათა მეორე ტურში ერთი მათგანი მოიხსნას ან კანდიდატის სასარგებლოდ, რომელმაც მეტი ხმა მიიღო.

ბოლოს და ბოლოს, „დემოკრატთა კავშირი“ იძულებული გახდა დათანხმებოდა ამას. მმართველი პარტიები, რომლებიც სრულიადაც არ არიან დარწმუნებულნი, რომ „უდავო და ერთგვაროვან უმრავლესობას“ მიიღებენ, ცდილობენ გადაიბირონ სხვა ბურჟუაზიული პარტიების წარმომადგენელნი, რომლებიც ჯერჯერობით, ყოველ შემთხვევაში ოფიციალურად, ოპოზიციაში არიან. მაგალითად, პარიზის ერთ-ერთ ოლქში დეგოლელებმა გადაწყვიტეს არ დასახელონ თავიანთი კანდიდატი წარსულ არჩევნებში /იქ არჩეული ცენტრისტის — „პროგრესისა და თანამედროვე დემოკრატიის“ ჯგუფის წევრის წინააღმდეგ, რომელსაც ეროვნულ კრებაში არც ერთხელ არ მიუცია ხმა მთავრობის წინააღმდეგ.

ამასობაში მშრომელთა ბრძოლა თავიანთი მოთხოვნებისათვის, გრძელდება. ბევრი საწარმო ჯერ კიდევ დაკავებული აქვთ გაფიცულ მუშებს და ამ საწარმოების თავზე წითელი ალმი ფრიალებს.

მოლაპარაკების შედეგად, რომელიც ამჟამად წარმოებს ეკონომიკის ცალკეულ დარგებსა და ცალკეულ საწარმოებში, ზოგჯერ სერიოზულ დათმობებზე მიდიან ხელისუფალნი და მეწარმენი, და ამ შემთხვევებში მშრომელნი იღებენ გადაწყვეტილებას განაახლონ მუშაობა. დღეს დილით, სხდომის შემდეგ, რომელმაც მთელ ღამეს გასტანა, დაამარაფირეს შეთანხმების ოქმი ტრანსპორტის მუშაკთა ძირითადი მოთხოვნების დაკმაყოფილების შესახებ. ეს ოქმი ითვალისწინებს, კერძოდ, ხელფასის გადიდებას საშუალოდ 13 პროცენტით, სამუშაო კვირის შემცირებას და პროფკავშირთა უფლებების გაფართოებას.

ორი კვირის ბრძოლის შემდეგ, ბოლოს და ბოლოს, მოლაპარაკების დაწყებას მიაღწია აგრეთვე 750 ათასმა პარიზელმა მელითონემ. შრომის საყოველთაო კონფედერაციამ მოუწოდა მათ არ შეასუსტონ ბრძოლა.

საგფიციანი ბრძოლა ყველგან ორგანიზებულად მიმდინარეობს. მშრომელნი, როგორც გაზეთი „ლუმანიტე“ აღნიშნავს, არ აძლევენ ხელისუფლებს რაიმე საბაბს პროვოკაციებისათვის, რომლებიც შექმნილ ვითარებაში მეტად ხელსაყრელი იქნებოდა მმართველი პარტიებისათვის, რადგან ისინი ცდილობენ გაამწვავონ ატომოსფერო, თითქმის სამოქალაქო ომის საფრთხით აშინებენ მოსახლეობას.

„ხელისუფალთა ტაქტიკა გამოხატება იმით, რომ ისინი იმოწმებენ მემარცხენე დაჯგუფებათა ძალადობას, რომელსაც აიგიენენ ჩვენს პარტიასთან, — წერს „ლუმანიტე“. — როგორც ჩანს, დეგოლელები დაინტერესებული არიან შექმნან მოელვარების ატმოსფერო, ცდილობენ დააშინონ ამომრჩეველთა ნაწილი არჩევნების წინ და შეიძლება ხელიც კი შეუშალონ არჩევნებს“.

გაზეთი ხაზს უსვამს, რომ კომუნისტებიც ცდილობენ დაუჭირონ მხარს მთელი მუშათა და დემოკრატიული ძალების კავშირს, რომელიც საჭიროა, რათა ახლანდელი რეჟიმი შეცვალოს დემოკრატიამ.

კიდევ 800 ათასი კაცი თოფკვეთ

ნიუ-იორკი, 4 ივნისი. (საკადესი). ამერიკის შეერთებული შტატები ახორციელებს აგრესიულ საგარეო პოლიტიკას და განუწყვეტლივ ზრდის შეიარაღებული ძალების რიცხვს. პენტაგონის ოფიციალური მონაცემებით, ამჟამად ეს რიცხვი 3,5 მილიონს აღემატება.

ამერიკის შეიარაღებული ძალების რიცხვის გადიდება, აღნიშნავს ასოშიეიტედ პრესის სააგენტო, გამოწვეულია უწინარეს ყოვლისა ვიეტნამში ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო ოპერაციათა გაფართოებით. 1965 წლამდე, როცა დაიწყო ამერიკის შეერთებული შტატების ჯარების ზრდა სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში, ამერიკის შეიარაღებული ძალების რიცხვი შეადგენდა 2,7 მილიონს.

ბონი

ბონი (გფრ). საგანგებო კანონების მიღებას თან სდევს მშრომელთა მასობრივი საპროტესტო გამოსვლები, რომელთა შიშით ბონის ხელისუფალნი იძულებული არიან პარლამენტის შენობასთან პოლიციელთა გაძლიერებული რაზმები დააყენონ.

სურათზე: პოლიციელები „ისვენებენ“ ბუნდესტაგის შენობასთან.

ტელეფოტო იუპი-საკადესისა.

ჯონსონის გამოსვლა

ვაშინგტონი, 4 ივნისი. (საკადესი). **ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ლ. ჯონსონმა დღეს განაცხადა, რომ შეერთებული შტატები არ აპირებს სრულიად შეწყვიტოს ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის ტერიტორიის დბომბვა.** გამოვიდა რა ქალაქ გლასბოროში (ნიუ-ჯერსის შტატი), პრეზიდენტი დბომბვის შეწყვეტის პირობად კვლავ მოითხოვდა, რომ ჩრდილოეთმა ვიეტნამმა რაღაც „ნაბიჯი გადადგას მშვიდობის მიმართულებით“.

„თუმცა ამერიკის შეერთებული შტატებისა და ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის წარმომადგენელთა ოფიციალური საუბრები ცხადყოფენ, რომ მთავარი დაბრკოლება ვიეტნამის საკითხის მშვიდობიანი მოწესრიგების გზაზე ის არის, რომ ვაშინგტონი უარს ამბობს საკუთარი შეწყვიტოს აგრესიული საჰაერო ომი ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ, ჯონსონი აცხადებდა, რომ ამ საუბრების მსვლელობაში „მეორე მხარეს არსებითად არაფერი უთქვამს იმათზე, ვინც ესწრაფვის საჰაერო მშვიდობის „ბაზიდან“.

ბელგრადი

სტუდენტთა ღელვარება იუგოსლავიაში

ბელგრადი, 4 ივნისი. (საკადესი). სერბიის სოციალისტური რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამდივნომ აკრძალა დემონსტრაციების, მიტინგებისა და მსვლელობების მოწყობა ბელგრადში. ეს გადაწყვეტილება მიღებულია საზოგადოებრივი წესრიგის, მოქალაქეთა სიმშვიდისა და უშიშროების დაცვის მიზნით და გამოიწვია იმან, რომ 2 და 3 ივნისს ბელგრადში, როგორც ტანიუგის საგანგებო იუწყება, გაიმართა სტუდენტთა დემონსტრაციები, რომლებშიც ჩაერია ზოგიერთი უპასუხისმგებლო ელემენტი, ამან გამოიწვია არა მარტო საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევა ქალაქში, არამედ მოქალაქეთა უშიშროების დარღვევა და მატერიალური ზარალი.

სერბიის კომუნისტთა კავშირის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმმა თავის განცხადებაში ხაზგასმით აღნიშნა, რომ „რთულ ეკონომიურ და პოლიტიკურ ვითარებაში, რომელიც იუგოსლავიაში შეიქმნა, მოქმედებენ ძალები, რომლებიც არ არიან დაინტერესებული სოციალისტური დემოკრატიის განვითარებით“.

აგრესიის მსხვერპლნი

ლონდონი, 5 ივნისი. (საკადესი). ირდანიის ქალაქ ირბიდიდან, რომელსაც გუშინ ავაზაკურად დაესხა თავს ისრაელის მხედრიონი, მოდის ცნობები, რომ აგრესორის მსხვერპლი გახდა ქალაქის მშვიდობიანი მოსახლეობა.

ისრაელი დამპყრობელნი ზიდიზედ ორჯერ თავს დაესხნენ ქალაქს და მშვიდობიანი მოსახლეობის წინააღმდეგ გამოიყენეს თვითმფრინავები, არტილერია და რაკეტული იარაღიც კი. არასრული მონაცემებით, დაიხოცა 30 და დაიჭრა 100-მდე მეხოვრები. თავდასხმის მსხვერპლთა შორის არიან მოხუცები, ქალები და ბავშვები.

გრიგალი კუნძულზე

პაპანა, 5 ივნისი. (საკადესი). კუბის დასავლეთ პროვინციებსა და პინოსის კუნძულებს გადაუარა ძლიერმა გრიგალმა, რომელიც რამდენიმე დღის წინათ წარმოიშვა პონდურასის უყურეში და რომელსაც ეწოდა „აბი“. ხანგრძლივი გვალვის შემდეგ ამ პროვინციებს თავს დაატყდა ტროპიკული კოკისპირული წვიმები, რაც გრიგალმა გამოიწვია. მარტო პინოსის კუნძულზე 36 საათის განმავლობაში მოვიდა 200 მილიმეტრი ნალექი.

ასობით მცხოვრები გახიზნეს დატბორილი ადგილებიდან. ყოველი ღონე იხმარეს პირუტყვისა და ნათესების გადასარჩენად. დაზარალებულ რაიონებში გაიგზავნა სურსათი და მედიკამენტები.

ბაკალეა გაზეთის მაგნატი

ლონდონი, 5 ივნისი. (საკადესი). გაზეთის მაგნატი სესილ კინგი „გადადგა“ რიდბეიბერ გრუპის“ თავმჯდომარის პოსტიდან. ეს არის მსხვილი გაერთიანება, რომლის წმინდა აქტივი დაახლოებით 250 მილიონ ვირგანჭა სტერლინგს შეადგენს და რომლის ძირითადი საქმიანობაა საგზაფნო ქაღალდის წარმოება. კინგის გადადგომა მოპყვა მის ამაყწინანდელ გადაყენებას გიგანტური საგაზეთო მონოპოლიის „ინტერნეიშნალ პაბლიშინგ კორპორეიშნის“ თავმჯდომარის პოსტიდან.

აგრესიის მსხვერპლნი

ლონდონი, 5 ივნისი. (საკადესი). იორდანიის ქალაქ ირბიდიდან, რომელსაც გუშინ ავაზაკურად დაესხა თავს ისრაელის მხედრიონი, მოდის ცნობები, რომ აგრესორის მსხვერპლი გახდა ქალაქის მშვიდობიანი მოსახლეობა.

ისრაელი დამპყრობელნი ზიდიზედ ორჯერ თავს დაესხნენ ქალაქს და მშვიდობიანი მოსახლეობის წინააღმდეგ გამოიყენეს თვითმფრინავები, არტილერია და რაკეტული იარაღიც კი. არასრული მონაცემებით, დაიხოცა 30 და დაიჭრა 100-მდე მეხოვრები. თავდასხმის მსხვერპლთა შორის არიან მოხუცები, ქალები და ბავშვები.

● ჩინეთის ქმბები

ცილისმწამებლური კამპანია

საფრანგეთის ამბებთან დაკავშირებით მაო ძე-დუნის ჯგუფი ეშვება ცილისმწამებლურ კამპანიას საფრანგეთის კომუნისტური პარტიის წინააღმდეგ. ეს კამპანია დაიწყო დემონსტრაციებით, რომლებიც ჩინეთის კალაქებში ბაიპარმა 20-დან 24 მაისამდე. ამ კამპანიას ღღეიდე განაგრძობენ კედლის პრესა და რადიო. დემონსტრაციები მოეწყო ვითომ „საფრანგეთის პროლეტარიატის ბრძოლის მხარდასაჭერად“. სინამდვილეში კი ეს დემონსტრაციები მაო ძე-დუნის პორტრეტებითა და ციტატების კრებულებით მოეწყო იმ მიზნით, რომ ჩინეთის მოსახლეობისათვის შთაეგონებინათ, თითქოს საფრანგეთის მუშების საგაფიცო ბრძოლა ისე როგორც სხვა ანტიიმპერიალისტური გამოსვლები „ევროპაში, ამერიკასა და ოკეანეთში“ იყოს მთელ მსოფლიოში მაოს იდეების ფართოდ გავრცელების შედეგი“.

როგორც ცნობილია, „მაოს იდეების“ მომხრენი ტროცკისტებთან და ანარქისტებთან ერთად საფრანგეთში შეადგენენ მხოლოდ უმნიშვნელო „ულტრამემარცხენე“ უმცირესობას სტუდენტთა მოძრაობაში და არავითარი გავლენა არა აქვთ მუშათა კლასის ბრძოლაზე. როცა მეკრალები მიეგებენ გაფიცულ მუშათა მიერ დაკავებულ ქარხნებში „პროლეტარიატთან შესაერთებლად“ მოპიკეტებმა ისინი არ შეუშვეს საწარმოთა ტერიტორიაზე. მათ განუმარტეს, რომ მუშები სერიოზულ ბრძოლას ეწევიან და არ სურთ მოუსმინონ იმათ ლაყბობას.

კმაყინი სიტყვით სოლიდარობას უცხადებს ბაფიეულმ, სამაგი კი პროპაგანდისტულ ცეცხლს უშენს საფრანგეთის კომპარტიასა და პროფკავშირებს, რომლებიც საბაფიცო ბრძოლას ხელმძღვანელობენ. მაო ძე-დუნის პროპაგანდისტები ფრანგ კომუნისტებს უწოდებენ „რენეგატებს“, ხოლო ფრონის საყოველთაო კონფედერაციისა და საფრანგეთის სხვა პროფკავშირულ გაერთიანებათა ხელმძღვანელებს — „ყვითელ პროფკავშირთა მეთაურებს!“ ავრცელებს რა ამ საზიზღარ ჭორს საფრანგეთის მუშათა კლასსა და მის ორგანიზაციაზე, მაო ძე-დუნის პროპაგანდა წყალს ასხამს საფრანგეთის ყვავილზე შავი რეაქციის წისქვილზე.

„სოლიდარობის დემონსტრაციები“ ჩინეთში მაოისტებმა გამოიყენეს აგრეთვე საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ღვარძლიანი ცილისწამებისათვის. ყოველ კამპანიაში, ყოველ მოვლენაში მაო ძე-დუნის ავანტიურისტული ჯგუფი ხედავს საბაბს ბინძური გამოხდომებისათვის საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ლენინური პოლიტიკის წინააღმდეგ, ჩვენი ქვეყნის მთავრობისა და ხალხის წინააღმდეგ.

მაოძედუნური ხელმძღვანელობა პოლიტიკისა და პროპაგანდის მზარდი ანტისაბჭოთა მიმართულება შეუმჩნეველი როდი რჩებათ იმპერიალისტურ ბანაკში. ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის ორმა მოადგილემ თითქმის ერთდროულად შემთხვევით როდი გააკეთეს ამ დღეებში განცხადებანი, რომლებიც მსოფლიო პრესამ შეფასა როგორც გარკვეული ნაბიჯი პეკინთან დაახლოების გზაზე. „ჩვენ საკმაოდ გასაგებად ვაგრძნობინეთ, — განაცხადა იუჯინ როსტოუმ, — რომ მზადა ვართ მივესალმოთ ჩინელი მეცნიერების, სპეციალისტებისა და ჟურნალისტების ჩამოსვლას ამერიკის შეერთებულ შტატებში“. მან თქვა, რომ შეერთებული შტატები მზად არის გადასინჯოს ჩინეთის ზოგიერთი საქონლის ეკსპორტის ემბარგოს საკითხი. „ჩვენ სხვა ღონისძიებანიც განვახორციელეთ“, — დასძინა ი. როსტოუმ.

სახელმწიფო მდივნის მეორე მოადგილემ კატცენბახმა ვაშინგტონის პრესის კლუბში გამოსვლისას განაცხადა, რომ სახელმწიფო დეპარტამენტი წინააღმდეგი არ არის მოიწვიონ ჩინეთის წარმომადგენლები ამერიკის შეერთებულ შტატებში სხვადასხვა თათბირებში მონაწილეობისათვის და ამერიკის ბეჭრ ორგანიზაციას ეცნობა ეს. მან განაცხადა, რომ შეერთებული შტატები „ბედნიერი იქნება“, თუ ჩინეთი და ამერიკის შეერთებული შტატები დაახლოვდებიან.

იმპერიალისტური ქვეყნების ბურჟუაზიული პრესა მადლობას უხდის მაოისტებს ანტისაბჭოთა კურსისათვის, იმისათვის, რომ თიშავენ მთელი მსოფლიოს ანტიიმპერიალისტური ძალების რიგებს. ეს ხომ ფაქტია, რომ ბურჟუაზიული გაზეთები სრული დუმილით გვერდს უვლიან ჩინეთის ისეთ ამბებს, როგორიცაა მასობრივი საჯარო სიკვდილით დასჯა, მეცნიერთა აბუჩად აგდება, მსოფლიო ლიტერატურის კლასიკოსების ქმნილებათა კოცონებზე დაწვა. ერთი სიტყვით, ანტისოციალიზმისათვის ყოველ გვარ ცოდვებს შეუნდობენ.

(საკადესი, 4 ივნისი).

კომუნისტი

მე-3 გვერდი, ხუთშაბათი, 6 ივნისი, 1968 წ.

ჩვენი ქალაქნდარი

პარტიის ერთგული შვილი

ჩვენი ხალხი სიყვარულით იგონებს და დიდების უქკნობი შარავანდედით მოსავს იმ ადამიანებს, რომლებიც მთელი სიცოცხლის განმავლობაში შრომელთა ბედნიერებისათვის ბრძოლობენ, ათას რიცხვს ეკუთვნის ლენინის პარტიის ერთგული შვილი, პროფესიონალი რევოლუციონერი, კომუნიზმისათვის თავდადებული მებრძოლი ვალერიან ვლადიმერის-ძე კუიბიშევი.

იგი შარქსისტული მოძრაობის სათავეებთან იდგა ომსკში, კიევსკში, ბარაბინსკში, პეტროპავლოვსკსა და ტაიგაში. ჩაგრულ ფენებს არაერთხელ მოუსმენიათ მისი მგზნებარე მოწოდებანი მეფის თვითმპყრობელობის დამხობისაკენ, მშრომელთა ხელისუფლების დამყარებისაკენ.

ვალერიან ვლადიმერისძე კუიბიშევი დაიბადა 1888 წლის 6 ივნისს ჟ. ომსკში. ამავე ქალაქში გაატარა ბავშვობა და ყრმობა. სკოლაში ნიჭითა და შესანიშნავი მეხსიერებით გამოირჩეოდა, ერთ-ერთი უნიკალური მოწაფის სახელი მოიხვეჭა. დიდ ყურადღებას აქცევდა თვითგანვითარებას. გაეცნო მარქსისა და ენგელსის „კომუნისტური პარტიის მანიფესტს“, რამაც დიდი როლი შეასრულა რევოლუციონერ-მარქსისტად მისი ჩამოყალიბების საქმეში.

როდესაც ვ. კუიბიშევზე ვიწყებთ საუბარს, მაშინვე თვალწინ დაგვიდგება დაუცხრომელი ენერგიის ადამიანი, ოპტიმისტი, ბოლომდე თანმიმდევარი და შეუდრეკელი ლენინელი. იგი 16 წლის ჭაბუკი შედის რსდმპ ომსკის ორგანიზაციაში და მთელ სიცოცხლეს უკავშირებს მშრომელთა განთავისუფლების საქმეს.

მეფის მთავრობას მიერ ვ. კუიბიშევი მრავალჯერ იყო დაპატიმრებული და გადასახლებული, მაგრამ დევნამ, ციხემ და გადასახლებამ ვერ გატეხა მისი რწმენა. ყველგან, რა სამუშაოზედაც უნდა გაეგზავნა პარტია, დიდი ენერგიითა და უნარით ასრულებდა დავალებას. 1905 წლის დასაწყისში იგი ფართო პროპაგანდისტულ მუშაობას ეწეოდა მშრომელთა შორის, მოეწოდებოდა მათ თვითმპყრობელური რეჟიმის წინააღმდეგ შეუპოვარი ბრძოლისაკენ. მან უშუალო მონაწილეობა მიიღო 1905 წლის ომსკში. მშრომელ გლეხობასა და მეფის არმიის ჯარისკაცებს შორის შეტაკებაში.

1906 წელს ვ. კუიბიშევი ომსკში ეამზადებს მშრომელთა მასებს შეიარაღებული აჯანყებისათვის, იწვევს პარტიულ კონფერენციას, კონფერენციის ჩავარდნისას პოლიციის მიერ სხვებთან ერთად დაპატიმრებულ იქნა, მაგრამ გაიქცა და ტომსკში განაგრძო არალეგალური მუშაობა.

ვალერიანის რევოლუციური მოღვაწეობა მხედველობიდან არ გამორჩა მეფის ხელისუფლებას. 1910 წელს ის კვლავ გადასახლეს, მაგრამ გაქცევა მოახერხა და პეტერბურგში განაგრძო რევოლუციური მუშაობა. მეფის ოხრანკამ იქაც მიაგნო მის კვალს, დააპატიმრა და კვლავ ნარიმის მხარეში გადაასახლა. ვ. კუიბიშევმა იქაც მოახერხა პროპაგანდისტული მუშაობის გაჩაღება გადასახლებულთა შორის, ჩამოაყალიბა პარტიული სკოლა, შეადგინა პროგრამა და კითხულობდა ლექციებს...

1911 წელს გადასახლებიდან გამოქცეული ვალერიან კუიბიშევი ისევ პეტერბურგშია. 1915 წელს იგი არჩეულ იქნა ბოლშევიკების პარტიის პეტერბურგის კომიტეტის წევრად. ეწევა პროპაგანდას, აქეყნებს სტატიებს, გამოდის კრებებზე, მიტინგებზე და გამანადგურებელ ბრძოლას აწარმოებს ყველა ჯურის ოპორტუნისტების წინააღმდეგ.

თებერვლის რევოლუციის დღეებში პარტია უკვე იცნობდა ვ. კუიბიშევს, როგორც უდრეკ რევოლუციონერს, ვ. ი. ლენინის ერთგულ მოწაფეს. პარტიის VI ყრილობაზე ის მტკიცედ იცავდა პარტიის პოზიციებს, რომ ვ. ი. ლენინი არ გამოცხადებულიყო სასამართლოში.

ვ. კუიბიშევმა თვალსაჩინო როლი შეასრულა უცხოეთის საგანგებო ინტერვენციისა და სამოქალაქო ომის პერიოდში. იგი იყო წითელი არმიის ერთ-ერთი თვალსაჩინო ორგანიზატორი და ნიჭიერი პოლიტიკური ხელმძღვანელი.

ვ. კუიბიშევი ფრუნზესთან და კ. ვოროშილოვთან ერთად ხელმძღვანელობდა თეთრგვარდიელთა განადგურების ოპერაციებს. მან როგორც აღმოსავლეთის ფრონტის სამხრეთი ჯგუფის ნიჭიერმა კომისარმა, რეკომის წევრმა და თურქესტანის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრმა, პირნათლად შეასრულა დიდი ლენინის დავალება ინტერვენტებისა და თეთრგვარდიელთა ბანდების განადგურების საქმეში.

მშვიდობიანობის დროს პარტია მას ანდობს უაღრესად პასუხსაგებ პოსტებს. პარტიის X ყრილობაზე კუიბიშევი არჩეულ იქნა ცენტრალური კომიტეტის შემადგენლობაში; პარტიის XI ყრილობაზე არჩეულ იქნა საკ.(ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივნად. პარტიის XII ყრილობაზე პარტიამ ვალერიან კუიბიშევს დაავალა საკონტროლო კომისიის — მუშაგლეხური ხელმძღვანელობა. მან უდიდესი როლი შეასრულა ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისა და მთელი სახალხო მეურნეობის რეკონსტრუქციის საქმეში. იგი გარდაიცვალა 1935 წლის 25 იანვარს. მან სიცოცხლე დაამთავრა მაშინ, როცა მისი შემოქმედებითი ძალები სრული გაფურჩქვნის პერიოდში იყო.

ვ. კუიბიშევის რევოლუციური ტრადიციები, ჩვენი ქვეყნის ბედნიერი მომავლისათვის ბრძოლის ტრადიციები მუდამ წინსვლისაკენ მოუწოდებენ ახალგაზრდობას.

ნ. ჩხაიძე,
ტ. მეგრელიშვილი.

ვ. კუიბიშევის დაბადების 80 წლისთავი

საკადესი

ეროვნული პროგლემები

თავს დაესხნენ რობერტ კენედის

ნიუ-იორკი, 5 ივნისი. საკადესის კორესპონდენტი ო. ანიჩკინი იუწყება: დღეს ლოს-ანჯელესის სასტუმრო „ამბასადორში“ თავს დაესხნენ სენატორ რობერტ კენედის. დალასში (ტეხასის შტატი) 1963 წლის 22 ნოემბერს მოკლული პრეზიდენტის ჯონ კენედის ძმას.

რ. კენედზე თავდასხმა მოხდა იმ მომენტში, როცა სენატორმა სასტუმროში მოწყობილ შტაბ-ბინაში დაამთავრა გამოსვლა პრესკონფერენციაზე კალიფორნიის შტატის პირველადი არჩევნების შედეგების გამოცხადების შემდეგ. ამ არჩევნებში მან გაიმარჯვა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის პოსტზე კანდიდატობის დემოკრატიული პარტიის პრეტენდენტთა შორის.

რობერტ კენედის რამდენჯერმე ესროლეს ახლო მანძილიდან. იგი დაიჭრა თავში, მხარსა და ფეხში და წაიყვანეს ქალაქის ცენტრალურ საავადმყოფოში. მისი მდგომარეობა, როგორც საინფორმაციო სააგენტოები იუწყებიან, მეტად მძიმეა. ექვსი ნეიროქირურგი ემზადება ოპერაციისათვის, რათა ამოიღონ ტყვია, რომელიც მარჯვენა ყურის ახლოს შესულა, შუა თავის ქალამდე მოეწევია და ტვინში გაჩხერილა.

სააგენტოების ცნობით, რ. კენედზე თავდასხმის დროს დაიჭრა ორი ,ჟურნალისტი და პროფკავშირის მოხელე.

ლოს-ანჯელესის პოლიციის უფროსმა განაცხადა, რომ დაკავებულ ადამიანი, რომელზეც მიუთითებს ექვი, რომ თავს დაესხა რ. კენედის, მაგრამ პოლიციამ არ იცის ვინ არის იგი. „მას არ გაუკეთებია რაიმე განცხადება, არ სურს რაიმეს თქმა“, — აღნიშნა პოლიციის უფროსმა.

სენატორი რობერტ კენედი აქტიურ კამპანიას ეწეოდა, რათა დემოკრატიულ პარტიას დაესახელებინა მისი კანდიდატურა პრეზიდენტის პოსტზ

ოცი ათასი მაყურებლის ტაში

80-100 კაცისაგან შემდგარი ორკესტრი და მოცეკვავეთა ჯგუფი ჩვენს პატივსაცემად გვიან ღამემდე ასრულებდნენ ბრაზილიელი ეროვნულ ცეკვებს. ბენშმარიტად ლამაზი და მომხიბვლელი სანახაობის მოწმენი გავხდით.

ბაიას შტატის დედაქალაქი **სალვადორი.** თბილისელებს ალბათ ახსოვთ ამ ქალაქის ფეხბურთელთა კლუბის „ბაიას" ჩამოსვლა საქართველოს დედაქალაქში 1961 წელს.

იქაც სამი კონცერტი გვქონდა. ერთი ახალ, თანამედროვე სტილით აგებულ თეატრში, ხოლო ორი — სპორტის დარბაზში.

საღამოდან შეხვედრებიდან ყველაზე დასამახსოვრებელი ცნობილ ბრაზილიელ მწერალ **ჟორჟი ამადუსთან** შეხვედრა იყო. იგი დაესწრო ჩვენს კონცერტს და შემდეგ შინ მიგვიპატიჟა. **„ორჯერ ვიყავი საქართველოში,** — გვითხრა ჟორჟი ამადუმ, — **მაგრამ აქ, ჩემს სამშობლოში ვნახე თქვენი ცეცხლოვანი ცეკვები. ჩემთვის მოულოდნელი არ ყოფილა თქვენი ესოდენ დიდი წარმატება სალვადორში, რადგან დარწმუნებული ვიყავი, რომ ისეთ მშვენიერ ქვეყანას, როგორიც საქართველოა, ასეთი ლამაზი და მომაჯადოებელი საცეკვაო ხელოვნება უნდა ჰქონდეს".**

ილიკო სუხიშვილმა ჟორჟი ამადუს სახლიდან ფეხზე და ქართული ღვინო გადასცა. **„ბედნიერი ვიქნები, თუ კიდევ ვიხილავ თქვენს ქვეყანას",** — გვითხრა მწერალმა გამომშვიდობებისას.

რიო-დე-ჟანეიროს აეროდრომზე ფოტორეპორტიორთა ჯარი „შემოგვეესია".

რიო-დე-ჟანეიროს საპერო თეატრ „მუნიციპალში" ჩვენი პრემიერა იყო დანიშნული. წინა დღით მოეწყო ღია პრეს-კონფერენცია. მასში მონაწილეობას იღებდა მთელი ანსამბლი და რიო-დე-ჟანეიროს თითქმის ყველა დიდი გაზეთის კორესპონდენტი და რეპორტიორი. ისინი შეკითხვებს გვაძლევდნენ საბჭოთა ქვეყანაზე, საქართველოზე და მის ხალხზე, ქართული **ხელოვნების** ისტორიაზე, ჩვენ ცეკვებზე, აწყობზე.

ილიკო სუხიშვილმა დამსწრეთ უამბო საქართველოს ცეკვის ანსამბლის ჩამოყალიბების ისტორია, ქართული ცეკვების პოპულარიზაციის შესახებ **და** ზოგიერთი ძველი ქართული ცეკვის შექმნის შესახებ.

პირველმა კონცერტმა დიდი წარმატებით ჩაიარა. რამდენიმე ცეკვა გავიმეორეთ. კონცერტს დაესწრო ბრაზილიის ყოფილი პრეზიდენტი ჟუსელინო კუბიჩეკი, ბრაზილიის შრომის მინისტრი ნეგს დე ლიმა, საბჭოთა კავშირის ელჩი ბრაზილიაში ს. მიხაილოვი, დიპლომატიური კორპუსისა და საბჭოთა საელჩოს წარმომადგენლები.

რიო-დე-ჟანეიროს გაზეთები ერთხმად „ლაპარაკობდნენ" ქართული ცეკვების განუმეორებელ თვისებურებებზე: **„ქალთა გრაცია და მამაკაცთა ვიჟაკური შემართება", „კოსტიუმების შესრულების დახვეწილი გემოვნება და ფერთა შეხამება",** ეს უკანასკნელ ქება რსფსრ და საქართველოს სსრ სახალხო მხატვარ ს. ვირსალაძეს ეხება, რომელიც ანსამბლს თან ახლავს.

ქალაქს ვაფაალიერებთ. რიო-დე-ჟანეიროს მთავარიანი, ზღვისპირა ელეგანტური ბახს ფავორიტ აეროპორტ სილამაზეს. ერთიმეორეზე მიჯრით მიწყობილი თეთრი, ქვაფთა ცათამბჯენები უზარმაზარ კვარტალებს ქმნიან. მწვანეში ჩაფლული პარკები და ხეივნები. ქალაქში ძალიან დიდი მოძრაობაა და მოდან სიცოცხლე ჩქეფს. მაგრამ მშვენება მაინც „კოპაკაბანა" გახლავთ. ეს უზარმაზარი ბუნებრივი პლაჟი, რომელიც ქალაქს გასდევს თითქმის 10 კილომეტრზე, მუდამ სავსეა დამაჯენებლებით. ბრაზილიაში ახლა ზამთარია და... ცხელა. პლაჟზე უამრავი პატარ-პატარა სტადიონია ჩამწყრივებული, სადაც ყოველდღე მზისაგან გარუჯული პატარა ბიჭუნები „ფეხბურთის მეფეს" პელეს თავგამოდებით ბაძავენ. აქ ფანატიკურად უყვართ ფეხბურთი და მაგონდება ბათქაში: **ბრაზილია ყავისა და ფეხბურთის ქვეყანაა.**

თეატრ „მუნიციპალში" შედი კონცერტის შემდეგ ორი კონცერტი ქალაქის უდიდეს სპორტის სასახლეში „მარაკანაზინიოში" გვქონდა. ეს დარბაზი მსოფლიოში ცნობილ საფეხბურთო სტადიონის — „მარაკანას" გვერდით არის და მის კომპლექსში შედის. იგი 20 ათას მაყურებელს იტევს.

ჩვენი კონცერტის მსვლელობას პარალელურად თან დაეთო საფეხბურთო მატჩი „მარაკანაზე". თამაშობდნენ „ბოტაფოგო" და „პალმეირასი". მაგრამ ამ ფაქტს ჩვენთვის ხელი არ შეუშლია. სპორტის სასახლე მაყურებლებით იყო სავსე. „მარაკანას" სტადიონიდან ჩვენამდე აღწევდა საფეხბურთო ემოციებით სავსე მაყურებლების შეძახილები, რომელსაც კონცერტის მაყურებელთა ოვაციაც უერთდებოდა.

დიდია ჩვენი სიამაყის გრძნობა. ქართული ხელოვნების უამრავ გულშემატკივარს კიდევ ათასობით ბრაზილიელი ხელოვნების თაყვანისმცემელი შეემატა. ეტოვებთ რიო-დე-ჟანეიროს. წინ ბრაზილიის კიდევ რამდენიმე ქალაქია. შემდეგ ლათინური ამერიკის 12 ქვეყანა. საინტერესო შეხვედრები და ხანგრძლივი, ძალზე დამაბული მუშაობა.

თ. ურთმელიძე,
რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი,
რიო-დე-ჟანეიროს. ბრაზილია.

* * *

სურათზე: ბრაზილიური ჟურნალ-გაზეთები, **რომლებშიც დაბეჭდილია მასალები საქართველოს ხალხური ცეკვის სახელმწიფო დამსახურებული ანსამბლის გასტროლების შესახებ.**

3. კარსანიძე



ბარდაიცვალა ცნობილი ქართველი კინოდრამატურგი, საქართველოს სახელოვნებათა დამსახურებული მოღვაწე სკკპ წევრი 1939 წლიდან ვლადიმერ ლავრენტის-ძე კარსანიძე.

ვლადიმერ კარსანიძე დაიბადა 1909 წელს სოფელ მათხოეში, ყოფილ ქუთაისის გუბერნიაში.

1927 წელს „ახალგაზრდა კომუნისტში" ბეჭდავს პირველ ლექსებს. ერთი წლის შემდეგ საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის საგაზეთო მუშაობას იწყებს მაშინდელ სახკინმრეწვაში.

1931 წელს ვლადიმერ კარსანიძე იგზავნება მოსკოვში, კინემატოგრაფიის საკავშირო ინსტიტუტში. 1935 წელს ამთავრებს კინოდრამატურგიის ფაკულტეტს და უბრუნდება თავის მშობლიურ სტუდიას.

40 წლის მანძილზე სიყვარულით ემსახურებოდა საბჭოთა კინოხელოვნების ინტერესებს, როგორც მწერალი, კინოდრამატურგი, საზოგადო მოღვაწე.

ვლადიმერ კარსანიძე იყო ერთ-ერთი ავტორი ისეთი ფილმების სცენარებისა, როგორიც არის „დაგვიანებული სასიძო", „ბაში-აჩუკი", „ბლაბის ნაამბობი". მის კალამს ეკუთვნის აგრეთვე პოპულარული ფილმის „ბედნიერი შეხვედრის" სცენარი.

ვლადიმერ კარსანიძის სცენარების საფუძველზე შექმნილია პირველი ქართული თოჯინური ფილმი „ნიკო და სიკო", ნახატი ფილმი „გაზაფხულის სტუმრები" და მრავალი სამეცნიერო-პოპულარული და მხატვრული კინონარკვევი („ამბავი სოფელ ნატანებზე", „შემოდგომა კახეთში", „აკაკი წერეთელი", „ორი", ბორჯომის ხეობა", „ფერეიდნელი ქართველები", „საინგილო" და სხვ.), რომლებშიც ასახულია ჩვენი ქვეყნის როგორც თანამედროვე, ისე წარსული ცხოვრების სურათები.

ვლადიმერ კარსანიძემ არა ერთი წერილი მიუძღვნა ქართული კინემატოგრაფიის სხვადასხვა პრობლემურ საკითხს. მათში ნათლად მჟღავნდება საბჭოთა მხატვრის პოზიცია, საბჭოთა კინემატოგრაფიის სიწმინდისათვის ბრძოლის ტენდენციები.

ვლადიმერ კარსანიძე დრამატურგიის დარგშიც მუშაობდა. მისი პიესა „უფალმ მწვანე მთები" პრემიერებული იყო რესპუბლიკურ კონკურსზე და იდგმებოდა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრსა და რიონის თეატრებში.

ვლადიმერ კარსანიძე წლების მანძილზე მუშაობდა საბკინმრეწვის კომკავშირის კომიტეტის მდივნად, სასცენარო განყოფილების გამგედ, ნახატი და თოჯინური ფილმების წარმოების უფროსად, სადუბლიაჟო ფილმების წარმოების უფროს რედაქტორად. სამამულო ომის პერიოდში ხელმძღვანელობდა საბკინმრეწვის სამეცნიერო-პოპულარული და დოკუმენტური ფილმების სტუდიას.

თავის შემოქმედებითს და სამსახურებრივ მუშაობას იგი მჭიდროდ უკავშირებდა საზოგადოებრივ მოღვაწეობას. იყო საქართველოს მწერალთა კავშირისა და კინემატოგრაფისტთა კავშირის გამგეობის, სარევიზიო კომისიის, კინოსტუდიის შემოქმედებითი სექციის წევრი და სხვ.

ჩვენგან წავიდა შემოქმედებითი ენერგიით აღსავსე, საქმისათვის თავდადებული ამხანაგი. მრავალი გეგმა დარჩა მას განუხორციელებელი, მაგრამ ისიც, რაც შექმნა, საკმარისია იმისათვის, რომ მისი ხსოვნა დარჩეს ჩვენს ხალხში, სამუდამოდ იხსენიებოდეს ქართული კინოხელოვნების ისტორიაში.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტი, საქართველოს სსრ მწერალთა კავშირი, საქართველოს სსრ კინემატოგრაფისტთა კავშირი, კინოსტუდია „ქართული ფილმი".

მოკლედ ახალ წიგნებზე

თბილისის უნივერსიტეტი

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობამ ახლახან ბროშურად გამოსცა მასალები მომხსენებელთათვის სახელწოდებით „თბილისის უნივერსიტეტი — 1918-1968".

წიგნი ვეკუნდლის თბილისის უნივერსიტეტის ისტორიას და თანამედროვე მდგომარეობას. იგი განკუთვნილია იმათთვის, რომლებიც მოხსენებებით გამოიღებენ საქართველოს ფაბრიკა-ქარხნების, საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობების, დაწესებულებების კოლექტივების წინაშე, აგრეთვე უმაღლეს, საშუალო და დაწყებით სკოლებში თბილისის უნივერსიტეტის დაარსების 50 წლისთავის აღსანიშნავ საზეიმო საღამოებსა და შეხვედრებზე.

წიგნში უნივერსიტეტის დაარსებისა და მისი განვითარების 50 წლის ისტორიასთან ერთად აღწერილია უნივერსიტეტის ახლანდელი მუშაობა, რაც საშუალებას მისცემს მომხსენებლებს დაწვრილებითი ცნობები მიაწოდონ უნივერსიტეტის შესახებ მოსახლეობის ფართო ფენებს.

წიგნი, რომლის რედაქტორია ვ. ვამყრელიძე, იყიდება სახელმწიფო უნივერსიტეტის კიოსკში, „საჭიგნის" და ცეკავშირის მაღაზიებში.

ონკოლოგიური დისპანსერი სხკკარიაში

ცხკაარია. (საკ. კორ.). მაღალმთიან სოფელ ფოცხოში საზეიმო ვითარებაში გაიხსნა სარაინთაშორისო ონკოლოგიური დისპანსერი.

დისპანსერი დაკომპლექტებულია გამოცდილი სამედიცინო მუშაკებით. მასზე შეფობა იკისრეს რესპუბლიკის მთავრობამ ონკოლოგიურმა საავადმყოფომ და ონკოლოგიის სამეცნიეროსაკვლევმა ინსტიტუტმა.

ვ. დ. ბაბუხადია — მედიცინის მეცნიერებათა დოკტორი



თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის პედიატრიული, სანიტარულ-ჰიგიენური და სტომატოლოგიური ფაკულტეტების ზოგადი ქირურგიის კათედრის დოცენტმა, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატმა **ვასილ დიმიტრის-ძე ბაბუხადიამ** თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად დაიცვა დისერტაციები თემაზე: **„ორგანოს დამზოგველი ოპერაციის მიზანშეწონილობის საკითხისათვის ჰიდრონეფროზული პროცესის რევერზიბილობის შესაძლებლობის ფასასაზრისით".**

სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროსთან არსებულმა უმაღლესმა სატესტაციო კომისიამ დაამტკიცა ვ. ბაბუხადიასათვის მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მინიჭება.

გვეტყობინებენ ჩვენი კორესპონდენტები

ნაირ-ნაირი

მწერლები — ენგურჰესის მშენებლებთან

ზუგდიდი. (საკ. კორ.). ამ დღეებში ზუგდიდში ენგურჰესის მშენებლობის გასაცნობად ჩამოვიდნენ ქართველი მწერლები. ჯგუფში შედიოდნენ მწერლები ალიო მირცხულავა, კარლო კალაძე, ჯანსუღ ჩარკვიანი, გივი გოგიჩაიშვილი, ლადო სულთანბეთელი, არჩილ სულაკაური, ედიშერ ყიფიანი და ოთარ შალამბერიძე.

მწერლებს გულთბილი შეხვედრა მოუწყეს ქალაქის ინტელიგენციამ და მოსწავლეებმა. დილითვე მწერლები წავიდნენ ენგურჰესის მშენებლობაზე. პირველად ეწვივნენ წალენჯიხის რაიონის მთიან სოფელ ჯვარს, სადაც მდინარე ენგურის მარჯვენა და მარცხენა ნაპირებზე განლაგებულია კაშხალმშენებლობის სამმართველო ლოხუბები; იყვნენ ერისწყალში, სადაც მოთავსებულია გვირაბების მშენებლობის სამმართველო, დათვალიერეს სადერივაციო გვირაბი, ესაუბრნენ გვირაბგამყვანებს, ძალოვანი კვანძისა და ვარდნილი პესის მშენებლებს, ენგურჰესის სამმართველოს უფროსს კ. დადიანს, გვირაბების მშენებლობის სამმართველოს უფროსს, სახელმწიფო პრემიისლაურეატს გ. ნულიანსკინს და სხვებს. გვიან საღამომდე ათვალიერებდნენ მშენებლობის სხვადასხვა ობიექტებს.

მეორე დღეს დაათვალიერეს ზუგდიდის სახელმწიფო მუზეუმი, ბოტანიკური ბაღი და ქალაქის სხვა ღირსშესანიშნავი ადგილები. მწერლები ენგურის ცელულოზისა და ქაღალდის კომბინატში ესაუბრნენ ქართული ქაღალდის მკეთებლებს.

ზუგდიდის შალვა დადიანის სახელმწიფო სახელმწიფო დრამატულ თეატრში გაიმართა ქალაქის მშრომელებთან ქართველ მწერალთა შეხვედრიერადმი მიძღვნილი საღამო, რომელიც გახსნა პარტიის ზუგდიდის საქალაქო კომიტეტის მდივანმა ლ. ნადარეიშვილმა.

სტუმრებს მიესალმნენ გაზეთ „მებრძოლის" რედაქტორი ი. ქორთუა, პედაგოგიური კაბინეტის გამგე ც. ქირია, პიონერთა სახლის დირექტორი ე. თოდუა, ინჟინერი გ. შენგელია, მრავალტირაჟიანი გაზეთ „ენგურის ჩირაღდნის" რედაქციის ლიტერატურული მუშაკი, ახალგაზრდა პოეტი ა. ფირცხალავა და სხვები.

საღამოზე სიტყვები წარმოთქვეს და თავიანთი ნაწარმოებები წაიკითხეს მწერლებმა ალიო მირცხულავამ, ოთარ შალამბერიძემ, არჩილ სულაკაურმა, ლადო სულაბერიძემ, ედიშერ ყიფიანმა, ჯანსუღ ჩარკვიანმა, გივი გოგიჩაიშვილმა.

დასასრულ გაიმართა კონცერტი.

* * *

სურათზე: ქართველ მწერალთა ჯგუფი ენგურჰესის მშენებლებთან. ფოტო თ. ფუტკარაძისა.

სიონური „ცოცხალი"

თიანეთი, (საკ. კორ.). მზის სხივებზე თვალისმომჭრელად ლივლივებს „სიონის ზღვის" ცისფერი ტალღები. გარშემო გაჩაღებულია შემოქმედებითი შრომა. აქ საფუძველი ჩაეყარა საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის საძიებლოს სიონის მეთევზეობისა და თევზმოშენების მეურნეობას (დირექტორი ნ. ხაიური), რომელიც დედაქალაქს ყოველდღიურად აბარებს სიონურ ცოცხალს. მართალია, თევზი ჯერ ადრეა ცოტა, მაგრამ ახლო მომავლში ზღვაში გაუშვებენ სარეპეტიციო კობრის ლიფსიტებს, რაც უფრო თევზუხვს გახდის მას. ამაგარდა, მდიბარე სიონურზე მოეწყობა ლიფსიტების გამოსაყენები ქარხანა. ამ ღონისძიებათა განხორციელება მეურნეობას საშუალებას მისცემს ყოველწლიურად ტონობით (ცოცხალი მიჰყიდოს თბილისის მაღაზიებს მშრომელთა მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად.

მეურნეობასთან ეწყობა დამხმარე ობიექტები, უკვე ამუშავდა ახალი სახეობი ქარხანა, მუშაობას შეუდგა მავთულბადის საქსოვი საამქრო, მიმდინარეობს კარების სახელოსნოს მოწყობა, მალე დაიწყება მეურნეობის კანტორისა და სამშენებლო ბლოკებისა და ბეტონის ბეთონების საწარმოს მშენებლობა.

ბოსკოვის ცირკი ქალაქეთში

გურჯაანი. (საკ. კორ.). ერთ თვეზე მეტია თელავის, გურჯაანის, ახმეტის, ყვარლისა და კახეთის სხვა რაიონების საკრმეურნეო სოფლებისა და ქალაქების სცენებზე წარმოდგენებს მართავს მოსკოვის ცირკის ოსტატთა დიდი ჯგუფი. ცირკის ძველი ოსტატების — ვ. ჩუმორინის, ნინო სლავინას, რ. ბომბერგოვა და თამარ ბახნას გვეგონდა თავაობით მაყურებლის წინაშე წარმატებით გამოდიან ახალგაზრდა მსახიობები ვალინა სოლოვიოვა, ვ. მიანკოვი, ნ. აბრამოვი, ა. შმულოვი, **იური** და ტომორჩა ზახაროვები და სხვ.

მოსკოვის ცირკის ოსტატთა წარმოდგენებმა დიდი მოწონება დაიმსახურა.

შენდება საბაგირო გზა

ტყიბული. (საკ. კორ.). ამ დღეებში ელმავალმა აქ მოიყვანა სპეციალური საბაგირიგზო ბაქნები წარწერით — „ვოლგოგრადი-ტყიბული", რომელზეც იყო უნიკალური ფოლადის ბაგირის სამი გიგანტური კოჭი.

ეს ბაგირი ტყიბულელთა დაკვეთით ვოლგოგრადის მავთულის ბაგირის ქარხანამ დაამზადა. იგი განკუთვნილია საჰაერო-საბაგირო გზისათვის, რომელიც მეშახტეთა ქალაქს უმოკლესი გზით დაუკავშირებს ნაქერალის მაღალ ქედზე მდებარე ადგილობრივ კურორტთან — ცხრაჯვართან. ამ ულამაზესი საჰაერო-საბაგირო გზის მშენებლობა უკვე დაწყებულია. ახლა მიმდინარეობს მიმღები სადგურის მონტაჟი.

„ოლიმპიური ტურნირები"

ახლოვდება მიმდინარე წლის უდიდესი შეჯიბრება — მეხიკოს ოლიმპიური ასპარეზობა, რომელიც მონაწილე ქვეყნების რაოდენობით სარეკორდო იქნება. თითქმის ყველანაირ მიმდინარეობს უკანასკნელი მზადება. ძალთა მოსინჯვა, ეწყობა წინასაოლიმპიადო შესარჩევი ტურნირები.

14 ქვეყნის [illegible] ტურნირს უკანასკნელ ტურნირ ბულგარელმა ცალთმოტოლებმა საკუთარ მოეიყვანეს ბარდაპარ ხელიდან [illegible] ტაცეს ვაზარეფა პოლონელებს 70:69 და მეხიკოს [illegible] გზაური მოიპოვეს.

რედაქტორი
დ. მჟელიშვილი.

„დინამოს" სტადიონი
აკ. წერეთლის პროსპექტი № 2
ტელ. 95-21-62
7 და 8 ივნისს

ფეხბურთი

სსრ კავშირის პირველობის გათამაშება „ა" კლასის I ჯგუფის გუნდებს შორის
„დინამო" მოსკოვი — „დინამო" თბილისი
7 ივნისს სათადარიგო შემადგენლობანი.
8 ივნისს ძირითადი შემადგენლობანი.
თამაშის დასაწყისი 18 ს. 30 წ.
8 ივნისისათვის ბილეთები წინასწარ გაიყიდება აბონემენტებზე „დინამოს" სტადიონის სალაროებში. **6 და 7 ივნისს** 12-დან 19 საათამდე, შესვენება 14-დან 15 საათამდე. ბილეთების საერთო ჯამიდან 8 ივნისს 10 საათიდან.

რადიო

პარასკევი, 7 ივნისი

06.35 — ქართული ხალხური სიმღერები, 06.50 — სოფლის მეურნეობის მუშაკთათვის. ევროპონდენტის ნაამბობი „დროშა სოციალისტურ შეჯიბრებაში" გამარჯვებულ მხეილ-მთიულეთს", 07.30 — საყვარელი მელოდიები, 08.30 — მოკლატი. ნაწყვეტები ოპერებიდან, 11.15 — ს. ეკი. სიმღერები, 12.30 — საუბარი „ამერიკის შეერთებული შტატები მსოფლიო ოლიმპიადის დაარსებიდან", 12.45 — ფოსტერი. სიმღერები, 13.40 — რ. ლაღიძე. სიმფონიური პოემა „სამშობლოსათვის", 17.15 — უკრავს საერთაშორისო კონკურსის ლაურეატი ი. ჟუკოვი, 17.35 — გადაცემა მოსწავლეთათვის. „დიდი ცხოვრების მოკანაზე", 18.10 — კონცერტი ბაშკირის, ლენინგრადისა და თიანეთის რაიონების თვითმოქმედი კოლექტივების მონაწილეობით, 18.45 — უკრავს ფრანგი პიანისტი ა. კორტო, 19.00 — ნარკვევი „ავტომშენებელი", 19.15 — სოლოვიოვ-სედოის სიმღერები, 19.45 — მღერის ლ. გეგელია, 20.30 — გადაცემა ციალდან „ამერიკის უგვარგვენო მეფეები", 20.45 — ინსტრუმენტული პიესები, 21.00 — „ბილსპირული", 21.15 — კონცერტი „თქვენი თხოვნით, მეგობრებო!", 22.00 — ნიკოლოზ ბარათაშვილის საიუბილეოდ. საუბარი „გერმანელი ჟტორები ნ. ბარათაშვილის შესახებ", 23.30 — ვერდი. ნაწყვეტები ოპერა „ტრუბადურიდან".

თეატრები

6 ივნისი

ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური — რიგოლეტო, **რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური** — მზიანი ღამე, **მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური** — ყარამან ყაფთელაძე, **გრიბოედოვის სახელობის** (რკინიგზელთა სახლში) — შენი ძია მიშა (მე-4 აბონ. მე-4 წარმოდგენა), **ფილარმონიის სახელმწიფო** (რუსთაველის თეატრის სპექტაკლი) — ტოპაზი, **თოჯინების ქართული** — ნანა ტყეში (დასაწყისი დღის 11 ს. და 30 წ.).

ტელევიზია

6 ივნისი

12.00 — მხატვრული ფილმი „შემოდგომის უკანასკნელი თვე", 18.00 — გადაცემათა პროგრამა, 18.05 — ახალი ამბები, 18.15 — ბავშვებისათვის — მხატვრული ფილმი „ვასიოკ ტრუბაჩოვი და მისი ამხანაგები", 19.35 — ციკლიდან „სტანდარტული, ეს ეგი საუკეთესო", 20.05 — გადაცემა „კომპოზიტორი ედუარდ გრიგი" (დაბადების 125 წლისთავის გამო), 20.55 — გადაცემა „დოკუმენტური კინომატიანე: ამბილება", 21.45 — „მოამბე" — სინფორმაციო პროგრამა, 22.10 — პროგრამა მეორე დღისათვის, 22.15 — გერმანული მხატვრული ფილმი „განმგრეობი" (ქართული ეკრანი).

ცენტრალური ტელევიზიის პროგრამა დასაწყისი 11-დან 12 საათსა და 50 წუთიდან და 18-დან 00 საათსა და 10 წუთიდან.

კინო

6 ივნისი

რუსთაველის სახელობის, ამირანი (საზამთრო და საზაფხულო), საქართველო (წითელი დარბაზი), ისანი, გაზაფხული, პლეხანოვის სახელობის კულტურის სახლი, ბათუმი, ეკრანი, სპორტი — **დიდვერსანტები, ოქტომბერი,** ფილარმონიის ბაღი, ნაადელი — **ფანტომასი** (I, II სერია), ოქტომბერი — **დაუვიწყარი** (8, 10 ს.), საქართველო (მწვანე დარბაზი), კოლხიდა, სპარტაკი, კომკავშირელი, ყაზბეგი (I დარბაზი), გორკის სახელობის კულტურის სახლი — **მარჯვედ მოეწყო,** ისანი (საზაფხულო), თბილისი, ყაზბეგი (II დარბაზი), კოლმეურნე — **სირტაკი,** 26 კომისრის სახელობის (I დარბაზი) — **ორი გულის პოემა,** კოლხიდა (საზაფხულო), 26 კომისრის სახელობის (საზაფხულო) — **მეზობლები,** 26 კომისრის სახელობის (II დარბაზი), ძერჟინსკის სახელობის კლუბი — **საფრანგეთი, წინ,** 26 კომისრის სახელობის (II დარბაზი), ეკის ბარი — **დიდი მწვანე ველი,** ჭავჭავაძის სახელობის კულტურის სახლი, ოფიცერთა სახლი — **„სამი ალვა" „პლიუშჩიხაზე",** პლეხანოვის სახელობის კულტურის სახლი (საზაფხულო) — **ქალიშვილი ტრამვაილინზე,** გორკის სახელობის კულტურის სახლი (საზაფხულო) — **მაკარაცუკას ქალიშვილები,** თბილისი — **ფანტაზიორები,** თბილისი (I, 2-30 წ.) — **მათ მხოლოდ სახით იცნობდნენ,** თბილისი — **გაძარცვა იტალიურად** (4, 6, 8, 9-30 წ.), ლენინი — **კრაზანა** (11 ს.), **ჯაშუშთა ქსელი,** ბარის მცხოვრები (1 ს.), **ინდოეთის აკლდამა** (I, II სერია, 4 ს. 30 წ.), მისი მსახურის და, ახი მამაკაცი და ერთი ქალიშვილი (8 ს.).

რა ვნახოთ, რა მოვისმინოთ

ბედმა იჯალიელებს ფეხბურთი გაუღიმა

იტალიის ნაკრები — სსრ კავშირის ნაკრები 0:0. ნეაპოლი, 5 ივნისი. „სან პაულოს" სტადიონი. მაყური — ჩინჩარი (გფრ).

იტალიის ნაკრები — ძოფი, ბურგნინი, ბერნერეინო, ფერინი, ფაკეტი, ჟულიანო, კასტანო, რივერა, დომენგინი, მაცოლა, პრატი; **სსრ კავშირის ნაკრები** — პშენიჩნიკოვი, ისტომინი, შესტერნინოვი, კაპლუნი, აფონინი, ლოგოფეტი, ლენინეი, მალოფეევი, ბიშოვეი, ბანიშევსკი, ევროუკინინი.

ჯერ კიდევ მატჩამდე რამდენიმე დღით ადრე ნეაპოლის „სან პაულოს" სტადიონის ორმოცდაათივე სალარო დაკეტილი იყო. ეს იმას ნიშნავდა, რომ ყველა ბილეთი სსრ კავშირისა და იტალიის ნაკრებთა მატჩზე უკვე გაეყიდათ. როგორც იუწყებიან, შემოსავალმა კოლოსალურ თანხას — 140 მილიონ ლირს მიაღწია.

დიახ, იტალიას დიდი ხანია არ ახსოვს ფეხბურთის ასეთი ცეცხლელება. რაც შეეხება ამ ქვეყნის ფეხბურთის გულშემატკივრებს, რომლებიც „ტიფოზებად" არიან აღიარებული, ნულარ იტყვით, მათ ხომ მთელი თამაშის განმავლობაში არ დაუსვენიათ გამაყრუებელი ღრიალცელათ.

რა თქმა უნდა, მეტოქეები სხვადასხვა პირობებში აღმოჩნდნენ. მ. ია ა ვ ა ნ ი ნ მ ა ჩეხოსლოვაკიელთან მძიმე მატჩის შემდეგ, ნეაპოლში თავის გუნდი ოთხი ტრავმირებული მოთამაშით ჩაიყვანა და ამის შემდეგ სრულყოფილი გუნდის გამოყვანა ცოტა სიძნელეებთან როდი იყო დაკავშირებული. ფ. ვ ა ლ ა ვ ა ე ვ ი ს ბ ა ნ ა ვ ა ნ ი ა ნ ი ს ბანაკში ეს ასეთ ამბავ იყო. ბრაზილიელ ფეხბურთელ ბ. ბ ა ბ ა ს ი ს ბ ა ნ ა ვ ა ნ ი ა ნ ი ს ბანაკში ეს ასეთ ამბავ იყო.